ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 2 სექტემბერი, 2016 | №208 (7134) | ფასი: 50 თეთრი

## ნიკა მელია: „ივანიშვილმა საზოგადოებას არნახული შეურაცხყოფა მიაყენა“




გვ.3

## 2 სექტემბრიდან

ჯონ სტაინბეკი

## რუსული დღიური

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# ბიძინა ივანიშვილი: „ვაშაძე, კუბლაშვილი და ბურჭულაძე სააკაშვილმა გააერთიანა“



გვ.2

გიორგი ვაშაძე: „დიახ, ჩვენ ვართ ახალი ნაციონალური მოძრაობა“

## რამდენი კაცის გაყვანას აპირებს ხელისუფლება პარლამენტში



გიგლა ბარამიძე: „ყოფილი ხელისუფლება რუსეთიდან იმართება“



გვ.3

## „ნაციონალები და „ოცნება“ პარლამენტში ადგილებს იყოფენ“

## ნანა დევდარიანი: „ოცნებას“ მხოლოდ ივანიშვილი თუ უშველის“



გვ.4

## ნინო ბურჯანაძემ თბილისის საკრებულო დაკარგა





გვ.5



რა გახდა ოგბაიძის, ვეკუასა და ცინცაბაძის წასვლის მიზეზი?



გვ.2

## თურქეთის ელჩი: „ბათუმიც და აჭარაც საქართველოს ნაწილია“

ზექი ლევენთ გუმრუქჩუმ დავით თარხან-მოურავს უპასუხა

ISSN 1987-9385

## ლევან ბერძენიშვილი: „ივანიშვილისადმი ნდობა დაწეულია“




გვ.3



გვ.5

## „რუსეთს „ოცნების“ იმედი უფრო აქვს, ვიდრე პატრიოტთა ალიანსის“

თამარ ჩხეიძე: „კვირიკაშვილი რესპექტაბელური ბუტაფორიაა“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ბიძინა ივანიშვილი: „ვაშაძე, კუბლაშვილი და ბურჭულაძე სააკაშვილმა გააერთიანა“

შორენა მარსაგიშვილი

## გიორგი ვაშაძე: „დიახ, ჩვენ ვართ ახალი ნაციონალური მოძრაობა“

რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა ისევ გაიელვა. ის ტელეკომპანია ჯიდიესის ახალი გადაცემის ფორმატში ბათუმში რეგიონული მედიის წარმომადგენლებს შეხვდა.

გადაცემის დასაწყისში ბიძინა ივანიშვილმა პროექტის მიზანზე ისაუბრა.

– პროექტის მიზანია ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების კვალიფიციური ანალიზი. ამავდროულად, ისეთ თემებსაც განვიხილავთ, რომლებიც მიმართული იქნება ქვეყნის განვითარების სტრატეგიის გასარკვევად და დასალაგებლად. ამისთვის ჩვენ გვყავს საკმაოდ დიდი ჯგუფი.

დღეს საზოგადოება 2030-ში 60 კაცზე მეტი შედის. მათ რიცხვში ძალიან ბევრი კრეატიული ადამიანია, რომლებსაც ანალიზის უნარი აქვთ. შევეცდებით, მოსახლეობას რაც შეიძლება მიუკერძოებელი ანალიზი და აქცენტები შევთავაზოთ, ის, რაც აკლია დღევანდელ მედიასივრცეს, ჩემი აზრით, – განაცხადა ივანიშვილმა.

„ქართული ოცნების“ ლიდერმა ბევრ რამეზე ისაუბრა და არც პროგნოზების გაკეთება დაზარებია.

ყოფილი პრემიერი დარწმუნებულია, რომ მომავალ პარლამენტში მისი გუნდი მინიმუმ 90 კაცს გაიყვანს. ნაპრემიერალს სწამს, რომ „ოცნება“ აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებშიც გაიმარჯვებს.

– აჭარაში „ქართული ოცნების“ დეპუტატების რაოდენობა 15 იქნება, პლუს-მინუს 10-12% და, თუ ადრე ვთქვი, რომ საქართველოს პარლამენტში 95 დეპუტატი იქნებოდა, დღეს დავამატებდი და ვიტყოდი, რომ 100 კაცი იქნება საშუალოდ. ვერ წარმომიდგენია, 90-ზე ნაკლები შევიდეს პარლამენტში. უფრო ნაკლებად წარმომიდგენია 90, ვიდრე 115. საშუალოდ 100 დეპუტატი ეყოლება „ქართულ ოცნებას“, რადგან საზოგადოება არის აზრიანი, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ის გუშინ კიდევ ერთხელ შეეცადა იმის დამტკიცებას, რომ ქვეყნის მართვაში არ ერევა. მისი მტკიცებით, დღეს ქვეყანას არა ის, არამედ გიორგი კვირიკაშვილი მართავს.

მისივე განცხადებით, ქვეყნის დღევანდელი მმართველი გუნდი იმ სტანდარტებით მოქმედებს, რომლებიც პოლიტიკაში მისი ყოფნის დროს დააფუძნეს.



ივანიშვილის თქმითვე, „ქართული ოცნების“ მთელმა გუნდმა 4 წლის განმავლობაში დაამტკიცა, რომ საზოგადოების მიერაა დაქირავებული.

ექსპრემიერის თქმით, მმართველი გუნდის წევრებმა არ უნდა გაბედონ, რომ საკუთარი თანამდებობები პირადი ინტერესებისთვის გამოიყენონ.

– არცერთ შემთხვევაში არ გაბედონ, რომ თავიანთი თანამდებობა გამოიყენონ სათავისოდ. ეს სტანდარტები დარჩა და ის, რომ ძალიან ბევრი პოლიტიკოსი ველარ აღწევს, სასამართლო ჯიბეში ჩაიდოს. ივანიშვილის პატიმრები, ივანიშვილის ტყვეები – ათასი ტერმინი შემოიღეს.

კანონთან მაიგივებენ, რეალურად კანონმა დაიწყო მოქმედება, კანონს ძალა მიეცა. ეს მოიტანა ამ გუნდმა და ეს მიაჩნიათ ისე, რომ მე ვმართავ. ჩემს მმართველობად მიაჩნიათ. არა, მე არ ვმართავ, კვირიკაშვილი მართავს. ძალიან წარმატებულად მართავს და იმავე სტანდარტებით.

ეს არის „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი უპირატესობა, რომ თვითონ იცავენ იმ სტანდარტებს, რომლებიც ჩვენ დავაფუძნეთ. კანონი არ მოქმედებდა ამ გუნდზე, დანარჩენ მოსახლეობაზე კუბში აყვანილი დარღვევით იყენებდნენ კანონის სიმკაცრეს, ცხვირპირს უმტვრევდნენ და ისე ექცეოდნენ საკუთარ მოსახლეობას. მაგრამ ესენი იყვნენ განსხვავებულები. მე ვარ ხელისუფლების ყველაზე მკაცრი კონტროლი, როგორც მოქალაქე, – განაცხადა ივანიშვილმა.

ის ამტკიცებს, რომ მას როგორც ბიზნესში, ასევე პოლიტიკაში პირადული ინტერესი არ აქვს, ამბობს, რომ საქართველოში ბიზნესი არ აქვს.

– არ მაქვს ბიზნესი საქართველოში. მიუხედავად ჩემი ოპონენტების მცდელობისა, ამაზეც მაქვს პასუხები და, თუ დაზუსტება გინდათ, გამოგყვებით და დავაზუსტებ – მე არ მაქვს არანაირი პირადი ინტერესი. პირადული ინტერესი არ არის სირცხვილი. ამავდროულად, მინდა გითხრათ, რომ ზოგადად, ადამიანი, პოლიტიკოსია თუ ბიზნესმენია, პირადულიდან მოდის, პირადული ამოძრავებს. ამ შემთხვევაში, როგორც მოქალაქეს, ივანიშვილს, პოლიტიკურ პროცესებში არავითარი პირადი ინტერესი არ გამაჩნია. მე პირადულიდან გათავისუფლებული ვარ, – აღნიშნა ყოფილმა პრემიერმა.



ივანიშვილის თქმით, მისი მთავარი ინტერესი საქართველოს კეთილდღეობაა, ამბობს, რომ უნდა, ყველამ თანაბარ პირობებში იცხოვროს.

* * *

ყოფილმა პრემიერმა ყოფილ ხელისუფლებასაც დიდი დრო დაუთმო, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია კი სააკაშვილს დააბრალა.

მისი თქმით, 2008 წელს სააკაშვილს არ უნდა განეხორციელებინა პროვოკაცია და ამით პრობლემები არ უნდა გაეღრმავებინა. ექსპრემიერის განცხადებით, სწორედ სააკაშვილი შემოუძღვა რუსულ ჯარებს საქართველოში.

– აბა, ის იყო კონსტრუქციული ურთიერთობა რუსეთთან, რუსული ჯარი რომ შემოიყვანა სააკაშვილმა?! სწორედ ის შემოუძღვა რუსეთის ჯარებს პრაქტიკულად. ნახეთ დანიელ ფრიდის ინტერვიუ, რომელიც რამდენიმე დღის წინ იყო, რომ სააკაშვილს არ უნდა დაექოქა ტექნიკა, არ უნდა გაეკეთებინა პროვოკაცია და გაეღრმავებინა პრობლემა, – განაცხადა ივანიშვილმა.

მისი თქმით, რომ არა ნაციონალური მოძრაობის ქმედებები, რუსული ჯარი, დიდი სურვილის მიუხედავად, საქართველოში ვერ შემოვიდოდა.

– რუსეთის ქმედებას არ ვამართლებ, მაგრამ არ უნდა გაეკეთებინა სააკაშვილს სისულელეები. რომ არა მისი და ნაციონალური მოძრაობის სისულელეები, რუსეთი ვერ შემოვიდოდა, მიუხედავად დიდი სურვილისა და იმ სიტუაციას მაინც შევინარჩუნებდით, რაც არსებობდა მანამდე. რა ქნეს მათ, სამშვიდობოების ნაცვლად რა მივიღეთ ჩვენ? მივიღეთ ოკუპირებული ტერიტორიები. თუ რამე იყო პრორუსული, იყო სააკაშვილის ქმედებები, მისი გუნდი და რაც მათ გააკეთეს, – აღნიშნა ექსპრემიერმა.

ივანიშვილმა კონკურენტ პარტიებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ მთავარი კონკურენტი ისევ ნაციონალური მოძრაობა იქნება. ნაპრემიერალი ამბობს, რომ მის გუნდს ნაცმოძრაობის მეორე ფრთასთანაც მოუწევს ბრძოლა.

ნაცმოძრაობის მეორე ფრთად ის ვაშაძე-კუბლაშვილი-ბურჭულაძის ერთობას ასახელებს, ამბობს, რომ ისინი მიხეილ სააკაშვილმა გააერთიანა.

– ჩემდა გასაოცრად, ძირითად კონტურებად მაინც იკვეთება ნაციონალური მოძრაობის ორი ფრთა, უშუალოდ ნაციონალური მოძრაობა და ახალი, რაც შექმნა, სადაც არიან ვაშაძე, კუბლაშვილი და ასე შემდგომ, იქვე შევიდა ბურჭულაძე. მე ვფიქრობ, რომ მთავარი ნაციონალური მოძრაობა ეს არის, სადაც ძირითადი ძალები სააკაშვილმა გააერთიანა.

ვაშაძე ძალიან კარგად ვიცით, ბურჭულაძე და მისი ძალებიც გაიხსენეთ, რა განცხადებებს აკეთებდა, მთლიანად ნაციონალურ მოძრაობას ემთხვეოდა. მიშა მაჭავარიანი და მისი ძმა ულაგებდნენ მთლიანად, რა განცხადებებს გააკეთებდა და დღესაც ნახეთ, გაერთიანება როგორ მოხდა. როდესაც მეკითხებოდნენ ბურჭულაძეზე, მუდმივად ვეუბნებოდი, რომ არ იცრუოს და, როგორც იქნა, გაიგო, მივიდა იქ, საიდანაც წამოვიდა. დღეს, მე მგონი, აღარ ცრუობს, რომ ნაციონალური მოძრაობისგან იყო მართული, მათგან მოვიდა და იქაც მივიდა, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

ივანიშვილის მიერ ნახსენებ ორფრთიანობას დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ძველ, ასევე ახალ ფრთაში.

„ახალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ვაშაძე ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ მისი და ზურაბ ჯაფარიძის პარტიები, რომლებთანაც პაატა ბურჭულაძის ძალა გაერთიანდა, ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთაა, სპეციალურ ბრიფინგზე გამოეხმაურა.

– თუ რეფორმები, იუსტიციის სახლების მშენებლობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და ეკონომიკური წინსვლა არის ნაციონალური მოძრაობა, დიახ, ჩვენ მზად ვართ ვთქვათ, რომ ჩვენ ვართ ახალი ნაციონალური მოძრაობა, რომელიც შეძლებს ქვეყნის წინ წაწევასა და წინსვლას, – აღნიშნა კმაყოფილმა ვაშაძემ.

ვაშაძის კმაყოფილებამ დეპუტატ გივი თარგამაძის უკმაყოფილება გამოიწვია. მან უკმაყოფილება ფეისბუქზე დააფიქსირა.

– არაფერი არს დაფარული, რაცა არ გაცხადდეს. ეამა გლუვისგან დაფასება. ის ხომ ინსტრუმენტია პალიკოს გირჩიანა. როგორც ინსტრუმენტებმა, გლუვს მიზნის მიღწევაში გაუმართლეს – მაშკევიჩის მეცადინეობით უფულოდ დარჩენილ ბანს სტაფილოსფერ გირჩში შეფუთული გლუვის ვერცხლი შეაძლიეს, ათეულში ფეხი მოიკიდეს, ნაცმოძრაობად გაყიდეს და ქოცების ხმების აღების შანსი მოუსპეს. გლუვმა აღიარა – ესეც იფერებს. მაგრამ ხალხი, გლუვი რომ აბრალებს, მართლა ბრიყვი კი არ არის – 8 ოქტომბერს ეს რეკლამირებული ერთობა საარჩევნო ნულებს რომ ჩამოყრის, ის ვერცხლიც ფერფლად იქცევა, – აღნიშნა თარგამაძემ.

# თურქეთის ელჩი: „ბათუმიც და აჭარაც საქართველოს ნაწილია“

## ზექი ლევენთ გუმრუქჩუმ დავით თარხან-მოურავს უპასუხა

– ბათუმიც და აჭარაც საქართველოს ნაწილია და, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაწილად დარჩება. სასაცილოა იმაზე საუბარი, რომ თურქეთს რაღაც მოტივი ამოძრავებს.

ამის შესახებ საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ზექი ლევენთ გუმრუქჩუმ რუსთავი 2-ს განუცხადა.



ელჩი პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერის, დავით თარხან-მოურავის განცხადებას გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნა, რომ თურქეთიც, რუსეთის მსგავსად, ოკუპანტია და დღესაც უზარმაზარ ძალისხმევას ხარჯავს აჭარის დაპყრობისთვის.

როგორც ელჩმა აღნიშნა, განცხადებები, რომ თურქეთს აქვს პრეტენზია აჭარასა და ბათუმზე, შარშან დეკემბერში, რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ მოისმინა.

– ამ საკითხზე ერთგვარი პროპაგანდა მიდიოდა. მახსოვს, მაშინაც ვპასუხობდი ამ ბრალდებებს, რადგან ფეისბუქში ხშირად დებდნენ პოსტებს, რომ თურქეთი საქართველოს მტერია და ოკუპანტი ქვეყანაა. შემდეგ ეს თემა მინელდა, მაგრამ საარჩევნო კამპანიის დროს, როგორც ჩანს, ასეთი საკითხები კვლავ თავს იჩენს ხოლმე, – განაცხადა თურქეთის ელჩმა.

ის დარწმუნებულია, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ იცის, თურქეთი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია.

– მაგრამ, ვინაიდან ეს თემა კვლავ წამოიჭრა პატივსაცემი ტელევიზიის ეთერში და თანაც პატივსაცემ გადაცემაში, მინდა, ღიად განვაცხადო – საქართველო და თურქეთი ერთმანეთს სტრატეგიულ პარტნიორებად მიიჩნევენ. თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ სუვერენიტეტს, – აღნიშნა ბატონმა გუმრუქჩუმ.

მან ხაზი გაუსვა, რომ თურქეთი საქართველოს მოსაზღვრე ერთადერთი ქვეყანაა, რომელთანაც მიღწეული აქვს შეთანხმება საზღვრებზე.

– ბათუმიც და აჭარაც საქართველოს ნაწილია და, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაწილად დარჩება. სასაცილოა იმაზე საუბარი, რომ თურქეთს რაღაც მოტივი ამოძრავებს. იყო ლაპარაკი ჩვენი ყოფილი პრემიერის განცხადებაზე, თითქოს მან თქვა, რომ გვინდა ოსმალეთის იმპერიის აღდგენა, რომ თითქოს საქართველოში ქალაქებზე პრეტენზიებიც გვაქვს. ასეთი შინაარსის განცხადება ბუნებაში არ არსებობს. რაც მან თქვა, იყო ის, რომ ჩვენი რეგიონის ქვეყნებს საერთო ისტორია აქვთ და ეს ისტორია დადებითად უნდა გამოვიყენოთ საერთო მომავლისთვის, – განაცხადა თურქეთის ელჩმა.

მისი თქმით, საქართველო და თურქეთი არის ორი ქვეყანა, რომლებიც იზიარებენ ერთიან ხედვას საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოებაზე.

* * *

დავით თარხან-მოურავმა განაცხადა, რომ 98 წლის წინ თურქეთმა საქართველოს ტერიტორიების 33%-ის ოკუპაცია მოახდინა და თურქეთი ისეთივე ოკუპანტია, როგორიც რუსეთი.

– დღესაც თურქეთი უზარმაზარ ძალისხმევას ხარჯავს აჭარის დაპყრობისთვის.

თურქეთის უკვე ყოფილმა პრემიერმა აჰმედ დავუთოღლუმ ტელევიზიაში პირდაპირ განაცხადა, რომ ოზურგეთი, ბათუმი და ახალციხე არის თურქეთი და იძახდა, ოსმალეთის იმპერია უნდა ალვადგინოო, – განაცხადა დავით თარხან-მოურავმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაციონალები და „ოცნება“ პარლამენტში ადგილებს იყოფენ“

## გიგლა ბარამიძე: „ყოფილი ხელისუფლება რუსეთიდან იმართება“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ არის სინამდვილეში პრორუსული ძალა, აღიარებენ თუ არა რუსეთს ოკუპანტად, რა გარიგება არსებობს „ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი**გიგლა ბარამიძე** ესაუბრება.

***– თქვენი პარტია ისედაც პრორუსულ ძალად ითვლებოდა. ბურჯანაძის ბოლო განცხადებამ, პუტინი მტერი არაა, ის დიდი პოლიტიკოსია, ეს აზრი კიდევ უფრო განამტკიცა. ამასთან დაკავშირებით რას იტყვით და რატომ არ არის პუტინი მტერი?***

– ამ განცხადების გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს კოლექტიური მეძავის სინდრომად შევაფასებ. მეძავი, იმის შიშით, ვინმემ რამე არ დასწამოს, სხვას აბრალებს იმას, რაც თავად არის.

ნინო ბურჯანაძემ ამათ ყველას „არჩევანში“ გამოსვლით მასტერკლასი ჩაუტარა, აჩვენა, როგორ უნდა აზროვნებდეს ნამდვილი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. ესენი კი როგორ გამოდიან, თითქოს ვიღაცამ დაქოქა და ეთერში შეაგდო – მიდი, დაიწყე გინება, ეგება, ვინმე აგყვესო.

***– პუტინზე რომ თქვა, მტერი არ არისო, ეგეც ამ მასტერკლასის ნაწილია?***

– რა შუაშია პუტინი, ჩინგიზ ხანი ან ალექსანდრე მაკედონელი. ნინო ბურჯანაძემ კარგად ახსნა, რას გულისხმობდა. როდესაც დიდ პოლიტიკაზეა საუბარი, იქ ცუდზე, კარგზე, ლამაზზე, მახინჯზე თუ კოხტაპრუწაზე არ საუბრობენ. საუბარი არის სახელმწიფოთაშორის ინტერესებსა და ურთიერთობებზე. საერთოდ, პოლიტიკოსზე არასდროს უნდა თქვა, რომ ის არის კარგი ან ცუდი. პოლიტიკოსზე უნდა ისაუბრო იმის მიხედვით, რა ინტერესი აქვს შენი ქვეყნის მიმართ.

***– პუტინისა და მისი ქვეყნის ინტერესები ხომ ვიცით?***

– კი ბატონო, ვიცით. ჩვენ არასდროს გვითქვამს, რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული არ არის. ეს ტერიტორიები წაიღო რუსეთმა, რაშიც მას ხელი ნაციონალებმა შეუწყვეს. ახლა ყველაზე მეტად ისინი კაკანებენ ოკუპაციაზე. კარგი, ვიტყვი, რომ პუტინი მტერია, ხოლო რუსეთი – ოკუპანტი. მაგრამ რა შეიცვლება ამით? ამის ძახილი ტერიტორიებს ვერ დააბრუნებს.

ტერიტორიების დაბრუნებაზე, გვინდა თუ არა ეს, მოსკოვთან მოგვიწევს საუბარი. ჩვენი შეთავაზება – უბლოკო სტატუსი – გახდება ამ მოლაპარაკების დაწყების საწინდარი.



– ჩვენი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ამ იდეის მიმართ უარყოფითად არის განწყობილი. კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა, რომელიც მთაწმინდის საარჩევნო ოლქში თქვენი კონკურენტია, ამბობს, რომ უბლოკო სტატუსი არის ღალატი და ბურჯანაძე ღია მოღალატეა.

– მე მოხარული ვარ, რომ სწორედ მთაწმინდის ოლქში დამასახელა ჩემმა პარტიამ. ძირძველი ვერელი ვარ და ეს ჩემი მშობლიური უბანია. მთელი ცხოვრება აქ გავატარე, 2004-2013 წლებს თუ არ ჩავთვლით, როცა, სხვების მსგავსად, მეც საქართველოდან მომიხდა წასვლა. რაც შეეხება კონკურენტებს, არავის ვთვლი მეტოქედ და არც კი მაინტერესებს, ვინ არიან. მე ის ვიცი, რომ, ვიღაცებისგან განსხვავებით, ცუდი საქმეები არ მიკეთებია.

ახლა რაც შეეხება ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლის შეფასებას, გულწრფელად გეტყვით, არ მაინტერესებს. რატომ უნდა მაინტერესებდეს იმ სექტის წარმომადგენლის აზრი, რომელიც ქვეყნის გაყიდვასთან, მკვლელობებთან და ათას სხვა უბედურებასთან არის ასოცირებული. სასაცილოა, როცა ესენი ვინმეს მოღალატეს ეძახიან.

სხვისი ლანძღვით ცდილობენ ქულების დაწერას, მაგრამ არ გამოუვათ. ხალხს ისე ეზიზღება ისინი, რომ მკვდარი „ოცნების“ ფონზეც კი ვერ შეძლებენ ხმების მოგროვებას.

„ქართულ ოცნებას“ დანაპირები რომ შეესრულებინა და სამართლიანობა აღედგინა, ეგენი ასე კი არ ილაპარაკებდნენ, არამედ ციხეში იქნებოდნენ. მათ საკუთარ ადგილს ჩვენ მივუჩენთ და ყველა ჩადენილი დანაშაულისთვის ვაგებინებთ პასუხს. ზოგიერთი მათგანი ხელისუფლებამ მაჟორიტარადაც კი წარადგინა, მაგრამ ეგ არ უშველით.

***– რატომ წარადგინა „ქართულმა ოცნებამ“ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები მაჟორიტარებად?***

– იმიტომ, რომ მკვდრები არიან და საერთო ინტერესები გამოუჩნდათ.

***– რა ინტერესები?***

– ერთობლივი ბიზნესები აქვთ – ხალხისთვის წართმეული ქონება გაიყვეს. ახლა უნდათ, პარლამენტში მოხვედრით გაათეთრონ სექტანტები და მერე ნაძარცვი ქონება გადაიფორმონ.

არჩევნებამდე ერთ თვეზე მეტია დარჩენილი და მაგათ ადგილები უკვე გაიყვეს. არჩევნებში გარიგებებში გამოწრთობილები არიან.

***– როდის გაურიგდნენ ერთმანეთს?***

– საპრეზიდენტო არჩევნებზე. როცა ნახეს, რომ ჩვენი კანდიდატი ნინო ბურჯანაძე უალტერნატივო იყო, ჯერ მარგველაშვილს დასდევდნენ და მერე დავით ბაქრაძეს დაუწყეს გაპიარება, მეორე ადგილზე რომ გაეყვანათ.

***– ამბობენ, მთაწმინდაზე „ოცნებამ“ იმიტომ არ დააყენა კანდიდატურა, რომ ნიკა რურუას უჭერს მხარს. ოფიციალურ მიზეზად სალომე ზურაბიშვილი დასახელდა.***

– მეც მითხრეს ეს ამბავი. ოღონდ სხვები არ შეუშვან პარლამენტში და ბევრ კანდიდატთან დაკავშირებით გარიგდებიან. „ოცნება“ იმდენად უბედურია, რომ ამდენი ხნის განმავლობაში საარჩევნო სიის შედგენაც კი ვერ შეძლო. არ გამოვრიცხავ, იქაც შეიყვანონ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები.

***– საარჩევნო სია არც თქვენს პარტიას წარუდგენია, მაჟორიტარებიც მხოლოდ თბილისში დაასახელეთ.***

– სიის წარდგენა ამ დღეებში მოხდება. ის პრაქტიკულად დასრულებულია. შერჩეული გვყავს რეგიონების მაჟორიტარობის კანდიდატებიც. მათაც ამ დღეებში წარვადგენთ. ჩვენთან ის ხალხი იქნება, ვისთვისაც თავსართი პრო მნიშვნელოვანი არ არის. ჩვენთვის მთავარი ეროვნული ინტერესებია.

***– ძალიან არ გიყვართ თავსართი პრო, მაგრამ პრორუსულის იმიჯი აქვს თქვენს პარტიას და ეს ამომრჩეველზე გავლენას არ მოახდენს?***

– რა გავლენა უნდა მოახდინოს? ჩვენ არსად და არასდროს გვითქვამს, რომ ძირს აშშ და გაუმარჯოს რუსეთს. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ რუსეთთან დიალოგი უნდა დაიწყოს. ტერიტორიების დაბრუნებაზე სხვასთან ვერ დავილაპარაკებთ და არც სხვა ილაპარაკებს ჩვენ ნაცვლად.

ჩვენს პრორუსულობაზე ყველაზე მეტად ნაციონალები ყვირიან, რომლებმაც ვარდების რევოლუცია რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივან იგორ ივანოვის დახმარებით მოაწყვეს. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პირველ ოფიციალურ ვიზიტად სააკაშვილი რუსეთში წავიდა და პუტინს შეხვდა. ამ შეხვედრის შემდეგ რუსულ მედიას უმტკიცებდა, ამ კაცს თვალებში ჩავხედე, მას პატიოსანი კაცის თვალები აქვს, რომელსაც შეიძლება ენდოო.

ნაციონალები არ იყვნენ, აგვისტოს ომის დაწყების წინ რუსებს რომ აქებდნენ? მერე მიატოვეს ჯარი, იარაღი გაყიდეს და წითელ ხიდზე ოჯახიან-ქონებიან-საყვარლებიანად გაიქცნენ. მაგათი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო კახა ბენდუქიძე. ის მზად იყო, რუსეთისთვის მიეყიდა მაგისტრალური გაზსადენი. ამაზე ამერიკამ ატეხა ერთი ამბავი, ბენდუქიძე გამოვიდა და თქვა, აშშ-ს ვინ ეკითხება, ვისაც გვინდა, იმას მივყიდით გაზსადენსო. ვანო მერაბიშვილმა კი სულაც პარლამენტში განაცხადა – რუსულ ფულს სუნი არა აქვსო.

აგენტურული პარტიები, რომლის კლასიკური მაგალითია ნაცმოძრაობა, ასე მუშაობენ – სხვას აბრალებენ იმას, რასაც თავად აკეთებენ. ჩვენ მხოლოდ დიალოგზე ვსაუბრობთ, ამათ კი ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსებს ჩააბარეს. ასეთ საქმეს მოსკოვს თავისი გენერალ-გუბერნატორიც კი ვერ გაუკეთებდა.

პოლიტიკური ძალა, რომლის ხელზეც სისხლი და მკვლელობებია, ხმას არ უნდა იღებდეს. „ოცნებამ“ რომ სამართალი არ აღასრულა, ეს არაფერს ნიშნავს, მათ მაინც არ შერჩებათ და თუ ჰგონიათ, რომ ყველაფერი „გაიასნებული“ აქვთ, ერთხელაც იქნება და ზევიდან მოხვდებათ წკიპურტი და იქ აღმოჩნდებიან, სადაც მათი ადგილია. ამას გეუბნებით, როგორც მეცნიერი და როგორც მისტიკოსი, რომელმაც კარგად იცის ეს ყველაფერი.

## ლევან ბერძენიშვილი: „ივანიშვილისადმი ნდობა დაწეულია“



– ივანიშვილისადმი ნდობა დაწეულია, ამიტომ არ მგონია, რომ მისი გამოჩენა სერიოზულად აამაღლებს „ქართული ოცნების“ ავტორიტეტს. „ქართული ოცნება“ პარლამენტში 100 დეპუტატით არ იქნება წარმოდგენილი, იქნება გაცილებით ნაკლებით.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილის განცხადება ამასთან დაკავშირებით სერიოზულად არ უნდა აღვიქვათ.

– „ქართული ოცნება“ პარლამენტში 100 დეპუტატით არ იქნება წარმოდგენილი, იქნება გაცილებით ნაკლებით. ამაში მე არ მეპარება ეჭვი, თუმცა ბატონ ბიძინას თავისი მოსაზრებები აქვს. ის ამ პარტიის დამფუძნებელი და გულშემატკივარია და ამიტომ მისი ნათქვამი არ ითვლება, ამ შემთხვევაში თავის გუნდზე ლაპარაკობს და არ არის ექსპერტი. ამიტომ, ეს ნაწილი სერიოზულად არ უნდა აღვიქვათ. ეს სურვილებს უფრო ჰგავს, ვიდრე შეფასებას, – განაცხადა ბერძენიშვილმა.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებას სატელევიზიო ეთერში, ბერძენიშვილის შეფასებით, „ბატონი ბიძინას გამოჩენა ახლა ისეთი მნიშვნელოვანი არ არის, როგორც თავად ივანიშვილს ჰგონია“.

– ახლა არ არის 2012 წელი. ბიძინა ივანიშვილისადმი ნდობა საზოგადოებაში დაწეულია და იგი არ არის პოლიტიკაში, როგორც ოფიციალურად გაცხადებულია. ამიტომ, მისი გამოჩენა დამაბნეველია ბევრისთვის და არა – პირიქით, – განაცხადა ბ-მა ბერძენიშვილმა.

მას არ ჰგონია, რომ ეს სერიოზულად აამაღლებს „ქართული ოცნების“ ავტორიტეტს, რადგან მათ ისეთი ტიპის კანდიდატები წარმოადგინეს, ბიძინა ივანიშვილი კი არა, ბევრი გულშემატკივარიც რომ აღმოაჩნდეთ, ძალიან გაუჭირდებათ.

– ძალიან არაპოლიტიკური ხალხი წარმოადგინეს საპარლამენტოდ. ბიძინა არაპოლიტიკოსი, ბიძინა გეგიძეები და ფეხბურთელები არაკვალიფიციურ შემადგენლობად აღიქმება, – დასძინა ლევან ბერძენიშვილმა.

## გია ხუხაშვილი: „ქართულ ოცნებას“ ლიდერები არ ჰყავს“

– საარჩევნო კამპანიაში ივანიშვილის მონაწილეობისგან გარღვევას არ ველოდები, თუმცა, „ქართული ოც-



ნების“ რეიტინგის ვარდნა მაინც რომ შეჩერდეს, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ექსპერტმა გია ხუხაშვილმა განუცხადა.

მისი აზრით, „ქართული ოცნება“ მთლიანად პარაზიტირებს ივანიშვილის რესურსზე, როგორც ძალის ცენტრზე.

– „ქართული ოცნებისთვის“ ივანიშვილთან ასოცირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ერთ დღეს ამომრჩეველს რომ გაუჩნდეს განცდა, ივანიშვილი „ქართულ ოცნებას“ განერიდა, „ქართული ოცნებიდან“ არც არაფერი დარჩება, – განაცხადა ექსპერტმა.

მისი თქმით, ივანიშვილის მონაწილეობა არის ძალიან მნიშვნელოვანი. თუმცა, ეს ვერ იქნება ისეთი შედეგის მომტანი, როგორც ეს იყო 2012 წელს.

**ინტერპრესნიუსი**

## ნიკა მელია: „ივანიშვილმა საზოგადოებას არნახული შეურაცხყოფა მიაყენა“



ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლისა და საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელ ნიკა მელიას განცხადებით, ბიძინა ივანიშვილმა ეკრანზე გამოჩენის პირველივე დღეს საზოგადოებას შეურაცხყოფა მიაყენა.

– ივანიშვილმა აქამდე არნახული შეურაცხყოფა მიაყენა საზოგადოებას, როდესაც პირდაპირ თქვა, რომ საქართველოს მოსახლეობას შეფასების უნარი აქვს განსავითარებელი. ადამიანი, რომელიც მილიარდებს ფლობს და ამ მილიარდებით ცხოვრების გაუმჯობესების დაპირებით მოვიდა, იპოთეკარებს, თანაგრძნობის გარდა, ვერაფერს სთავაზობს.

მან შეაქო ნარმანიას მუშაობა და აღნიშნა, რომ ის წარმატებული მერია. ვფიქრობ, ივანიშვილი მთელ ქვეყანაში ერთადერთი ადამიანია, ვინც ასე ფიქრობს და რა თქმა უნდა შეუძლებელი არის, ეს სიმამაცე მას არ მოვუწონოთ, – განაცხადა მელიამ.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ნანა დევდარიანი: „ოცნებას“ მხოლოდ ივანიშვილი თუ უშველის“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში არსებულ წინასაარჩევნო ფონს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე, გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი **ნანა დევდარიანი** აფასებს.

***– ქალბატონო ნანა, არ იგრძნობა არჩევნების მოახლოება. რატომ არ დაიწყო ჯანსაღი წინასაარჩევნო კამპანია?***

– კამპანია დაიწყეს, მაგრამ აქ სხვა მომენტიც არის. ბევრს ეგონა, რომ ეს კამპანია მუდმივად იქნებოდა რაღაც ექსცესების ფონზე და ყველა ელოდებოდა ქვების სროლას, იმიტომ, რომ ასე მიდიოდა პროცესი. ყოველ შემთხვევაში, ნაციონალური მოძრაობა ცდილობდა, ასე წაეყვანა. რადგან ასეთი პროცესი არ არის, ამიტომ ცოტა დუნე შთაბეჭდილებას ტოვებს, თანაც ახლა დაიწყო სექტემბერი, აგვისტო საერთოდ მკვდარი თვეა პოლიტიკური თვალსაზრისით. მოსახლეობა თითქმის მთლიანად გასულია დასასვენებლად. მესამე ფაქტორია ის, რომ ასეთი დაშლის პროცესი, რაც ამ არჩევნებზეა, არცერთ არჩევნებზე არ მახსოვს.

***– რას გულისხმობთ?***

– ბურჭულაძის პარტიიდან გადიან, რესპუბლიკელებიდან გადიან, მეჭიაურიდან გადიან.

***– ამას რით ხსნით?***

– ამას ვხსნი იმით, რომ ნაჩქარევი პროცესია, უცებ გამოყოფილი სუბიექტები... რესპუბლიკელებში რომ ეს მოხდებოდა, ჩემში ეჭვს არ იწვევდა...

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ადრეც მითქვამს, რესპუბლიკურ პარტიაში შედიან იმიტომ, რომ იგრძნეს, მათ აქვთ გავლენა ხელისუფლებაში. ეს ხალხი გავიდოდა, რა თქმა უნდა. როგორც კი კოალიცია დატოვა რესპუბლიკურმა პარტიამ და დაიწყო ივანიშვილის კრიტიკა, რომლის წყალობითაც მოხვდნენ ხელისუფლებაში, ეს პროცესი აუცილებლად წავიდოდა.

***– ბურჭულაძესთან რა ხდება?***

– ბურჭულაძესთან ეს პროცესი მიდის იმიტომ, რომ სად სად და რაიონებში არ იმალება ეს ფაქტები. თუკი სადმე ყოფილი ნაციონალი იყო, ყველა შეისრუტა ბურჭულაძემ. ზოგისთვის მიუღებელი აღმოჩნდა აშკარა ნაცებთან გაერთიანება, ვაშაძე, გირჩი და ასე შემდეგ.



***– ბიძინა ივანიშვილის მართული ხომ არ არის ეს პროცესები?***

– ადვილია, რომ ყველაფერი ბიძინას დააბრალონ. ბიძინა, შესაძლოა, კიდევაც უწყობს რაიმე პროცესს ხელს, იმიტომ რომ ღიად აქვს ნათქვამი, ყველაფერს გააკეთებს „ოცნების“ გასამარჯვებლად, თუმცა ამას ობიექტური მიზეზებიც რომ არ ჰქონდეს, მარტო ბიძინას მცდელობა არაფერს იზამდა.

***– ანუ ივანიშვილის მითითებით ხდება ხალხის გადმობირება ამ პარტიებიდან?***

– ეს პროცესი ყოველთვის მიდიოდა. ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს როგორ ხდებოდა პარტიიდან პარტიაში ხალხის გადაბირება. სწორედ მაშინ არ დაიშალა ედპ?! პირდაპირ ხელს არ ადებდნენ ჟვანიას ამაზე?

***– რესპუბლიკელებიც „ოცნებას“ აბრალებენ ამ პროცესს, ხალხი გადაიბირესო.***

– როდესაც რესპუბლიკური პარტია იყო კოალიციაში და ჰქონდა იმაზე გაცილებით მეტი გავლენა, ვიდრე რეალური რეიტინგი აქვს, არ უკვირდათ, მასობრივად რომ შედიოდა ხალხი მათ პარტიაში?! რა, მათი იდეოლოგიით მოიხიბლნენ?! ამიტომ, სულ რომ არავინ ჩარეულიყო, ეს მაინც მოხდებოდა.

***– სოციოლოგიური კვლევები არ იცვლება და მხოლოდ „ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ლიდერობენ. სხვას ყველას გაუჭირდება ბარიერის გადალახვა?***

– ასევე პრობლემა არ ექნებათ ბურჯანაძესა და პატრიოტთა ალიანსს. ყველა დანარჩენი კითხვის ნიშნის ქვეშ არის.

***– ანუ ორპარტიულ პარლამენტს არ მივიღებთ?***

– ეს გამორიცხულია! უბრალოდ, ვერ იქნება. ნაციონალებს იმდენად შემცირებული აქვთ მხარდაჭერა, ამას არც სოციოლოგიური კვლევა სჭირდება და არაფერი. ეს პირდაპირ ჩანს.

***– კვლევების მიხედვით რომ თანაბარია „ოცნებისა“ და ნაციონალების რეიტინგი?***

– მე ამ კვლევებს არ ვენდობი! იმაზე აღარ არის საუბარი, რომ ზოგიერთი ტელევიზია თვითონ უკვეთს ამ კვლევებს და შემდეგ ამ კვლევების მიხედვით გეგმავს, ვის როდის მოიყვანს დებატებში და რამდენ დროს მისცემს. ზუსტად ასეთი მანიპულაციები იყო 2003-შიც. დაახლოებით იმავე მეთოდოლოგიით მიდიან, მაგრამ მოძველდა ეს მეთოდოლოგია და ვეღარ აღწევს მიზანს.

***– ხელისუფლებაც სერიოზული კრიტიკის ობიექტია, მისი რეიტინგიც საგრძნობლად დაეცა. ამაზე რას იტყვით?***

– რასაკვირველია, დაეცემოდა. არჩევნების დროს ყველა დანარჩენი პარტია დაარტყამს ხელისუფლებას. ძალიან დიდი მოლოდინები იყო 2012-ში, რომ ყველაფერი შეიცვლებოდა ძალიან მალე. ეს არ მოხდა და ვერ მოხდა. განსაკუთრებით რაც ეხება ნაციონალურ მოძრაობას, არ დაერქვა იმას თავისი სახელი, რაც იმ წლებში ხდებოდა. ეს ფერწასული ნაციონალები მოფერიანდნენ და იქით შეტევაზე გადავიდნენ. ადამიანები კი ამას არ პატიობენ!

***– ასევე სერიოზული კრიტიკა გამოიწვია იმან, რომ „ოცნების“ სიები გაივსო ყოფილი ნაციონალებით. ეს რა სტრატეგიაა?***

– ჩემთვის ამას ახსნა არ აქვს. რა, „ქართულ ოცნებაში“ ძირითადმა ბირთვმა არ იცის, ვინ რას აკეთებდა ბოლო წლებში?! იბადება კითხვა, რომელზეც ბევრი ლაპარაკობს.

***– რა კითხვა?***

– გარიგება ხომ არ შედგა 2012 წელს?! აბა, რანაირად შეიძლება ახსნა ის, რომ მთელი რიტორიკა მიმართული იყო დანაშაულებრივი რეჟიმის წინააღმდეგ, მოვიდნენ და, ერთეული შემთხვევების გარდა, არავინ პასუხი აგო არაფერზე. ახლა კი თავის საარჩევნო სიაში ჩასმით პოლიტიკაში აბრუნებენ. ზოგი ნაციონალი შეიძლება ნაციონალური მოძრაობის სიიდან გავიდეს, ზოგი ნაციონალი ბურჭულაძის პარტიით შეიძლება გავიდეს და ზოგი – „ქართული ოცნების“ ხარჯზე. რომ შევლენ იქ და შეიკრიბებიან, მერე ითვალონ, რამდენი გამოვლენ.

***– ეს გეგმის ნაწილია?***

– ნაციონალებისგან, შესაძლოა, არის, მაგრამ, შენ რომ „ქართული ოცნება“ ხარ, რატომ მიჰყვები ამ სტრატეგიას?!

***– ეს გარიგება ივანიშვილთან შეთანხმებით მოხდა?***

– არაფერს გამოვრიცხავ, პოლიტიკაში ხდება გარიგებები, მაგრამ, გარიგებაზე რომ მიდიხარ, შენ მეტს ხომ უნდა იღებდე აქედან? ამ შემთხვევაში რა მოგება უნდა ნახოს „ქართულმა ოცნებამ“?! ამ ყველაფერს თუ ვერ ხედავ, მაშინ არც პოლიტიკაში უნდა იყო!

მე მგონი, „ქართული ოცნება“ მსხვერპლია იმ პროპაგანდის, რომელსაც სააკაშვილი ეწეოდა, რომ მათზე წარმატებული ხელისუფალი არ გვყოლია. მე მგონი, ამათმაც დაიჯერეს. ბიძინა ივანიშვილს არაერთხელ წამოსცდა, ადეიშვილი რომ გადასარევი მინისტრი იყო, მერაბიშვილი – გადასარევი მენეჯერი. ასე რომ გგონია, მერე მთავრდება მაგით!

***– რით?***

– შენი რესურსი რომ არ გყოფნის და არ იცი, ვინ მიიყვანო პარტიაში, მოგყავს ისინი, ვინც წარმატებული და ეფექტიანი გგონია.

***– მაჟორიტარებითაც აჯობეს ნაცებმა „ოცნებას“? სანდრა რულოვსი მოიგებს ზუგდიდს?***

– შეგახსენებთ, როდესაც მთელი ქვეყანა დადგა ნაციონალების წინააღმდეგ, ირაკლი ალასანიამ წააგო როლანდ ახალაიასთან ზუგდიდში არჩევნები! მაშინ ამას შეფასება ვერ მისცა „ოცნებამ“. სწორედ ამის გამოძახილია, რომ სანდრა რულოვსს აყენებენ. ძალიან კარგად იცის ნაციონალურმა მოძრაობამ, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით ვერ იზამს ვერაფერს, ამიტომ ამორჩეული აქვთ რამდენიმე რაიონი, სადაც აქვთ გავლენა. მათ შორის ეს არის სამეგრელო და აჭარა და დარტყმას ახორციელებენ ამ მიმართულებით. შენ რომ ხელისუფლება ხარ და არაფერი იღონე 4 წლის განმავლობაში, ახლა ამასთან დაპირისპირება რთულია!

***– ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა, უფრო აქტიურად ჩაერთოს პროცესებში. უშველის რამეს „ოცნებას“ მისი აქტიურობა?***

– თუ რამე უშველის, ეგ უშველის. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მთლიანად ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, 2012-ში ნაციონალების ხელისუფლებისგან ჩამოშორება რომ მოხდა. ეს უკვე მისი რეპუტაციის საკითხიც არის. ამიტომ, რა თქმა უნდა, გააქტიურდება.

***– რას მივიღებთ არჩევნებზე?***

– შეიძლება, ძალიან ოპტიმისტური პროგნოზია, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს იქნება მრავალპარტიული პარლამენტი. „ოცნება“ ცალკე და ნაციონალები ცალკე უმრავლესობას ვერ შექმნიან.

## სასამართლოდან პატიმრის გაქცევის ფაქტზე სამი ბადრაგი დააკავეს




რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობიდან პატიმრის გაქცევის ფაქტზე სასჯელაღსრულების სამინისტროს საბადრაგო სამსახურის სამი თანამშრომელი დააკავეს.

ალნიშნულის შესახებ ინფორმაციას თავად სამინისტრო ავრცელებს.

– დაკავებულები არიან თბილისის საბადრაგო სამსახურის მეორე განყოფილების ცვლის უფროსი მ.ს., ცვლის უფროსის მოადგილე რ.ბ. და გუშაგი-ბადრაგი გ.ტ. გამოძიებას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342 პრიმა ერთი მუხლის პირველი ნაწილით აწარმოებს, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

* * *

რუსთავის სასამართლოდან გაქცეული პატიმრის, ოთარ ვარამაშვილის დის მტკიცებით, მან ბოლო ორი თვე არ იცოდა, მისი ძმა ცოცხალი იყო თუ მკვდარი, რადგან ის ციხეში „დალაპარაკების გამო დასაჯეს“.

როგორც ბრალდებულის დამ „ინფო რუსთავს“ განუცხადა, სამართალდამცველები მასთან სახლში უკვე იმყოფებოდნენ.

მისივე თქმით, ოჯახის წევრებმა პატიმრის გაქცევის შესახებ ინფორმაცია სასამართლოში გაიგეს.

– გაქცევის შემდეგ ჩვენთან კონტაქტი არ ჰქონია. პოლიციის თანამშრომლები იყვნენ მოსული და მოხდა სახლის დათვალიერება. ჩემს ძმაზე მარტო ერთის თქმა შემიძლია – ძალიან კარგი პიროვნებაა და გაქცევის მიზეზი სავარაუდოდ ის არის, რომ ძალიან ცუდ პირობებში იმყოფებოდა.

ორი თვის განმავლობაში უბრალოდ დალაპარაკების გამო იყო დასჯილი, ტელეფონზე საუბრის უფლებაც არ ჰქონდა. ეს ორი თვე არც კი გვაგებინებდნენ ცოცხალი იყო თუ მკვდარი, ვერ ახერხებდა კონტაქტს, ვერც ვნახულობდით და ვერც ვიგებდით როგორ იყო. ეს გაასაჩივრა და ამაზე იყო სასამართლო დავა დანიშნული, – განაცხადა პატიმრის დამ.

პატიმარი ოთარ ვარამაშვილი რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობიდან გუშინწინ გაიქცა. მისი ძებნა ამ დრომდე მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

## ლევან იზორია: „ვალდებული ვარ, ხარვეზებზე საჯაროდ ვისაუბრო“

თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია მის მიმართ ოპონენტების მხრიდან გამოთქმულ კრიტიკას ეხმაურება.

როგორც გონიოში დაკარგული სამხედრო მოსამსახურეების ხსოვნისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე იზორიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ის როგორც თავდაცვის მინისტრი, ზრუნავს ჯარისკაცების ინტერესებზე.

**ლევან იზორია:**




– ჩემი განცხადება ემსახურება ერთადერთს – დავიცვა თითოეული ჯარისკაცის უსაფრთხოება და შევქმნა ჯარისკაცებისთვის ღირსეული პირობები მოღვაწეობისთვის. ჯარისკაცმა უსაფრთხოდ უნდა იგრძნოს თავი და მშვიდობიან პირობებში, ჯარისკაცს სახელმწიფომ ყველანაირი პირობები უნდა შეუქმნას იმისთვის, რომ თავიდან იქნას საფრთხეები აცილებული, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს შეიძლება უქმნიდეს მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

ამ შემთხვევაში, თავდაცვის მინისტრი ვალდებული ვარ, პირველ რიგში ასეთ უსაფრთხოებაზე ვიზრუნო.

შესაბამისად, თუ არსებობს ხარვეზები, ვალდებული ვარ, რომ ამ ხარვეზებზე საჯაროდ ვისაუბრო ერთადერთი მიზნით, რაც ხაზგასმით კიდევ მინდა აღვნიშნო – ჯარისკაცის ინტერესების, მისი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მიზნით.

**ინტერპრესნიუსი**

## გიორგი კვირიკაშვილი: „მაქსიმალურს გავაკეთებთ, რომ ვიპოვოთ სამხედროები“

– ყურის აპკებდახეთქილები და დასისხლიანებულები ამოვიდნენ სამხედროები, ისინი ცდილობდნენ შველას, მაგრამ ვერ უშველეს.




ამის შესახებ ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ზღვაში დაკარგული სამხედროების ძებნის ოპერაციისა და თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიას მიერ გავრცელებული იმ ინფორმაციის კომენტირებისას განუცხადა, რომლის თანახმადაც წვრთნებს არასერტიფიცირებული ინსტრუქტორები ატარებდნენ.

გიორგი კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ მომხდარი ტრაგედიით სპეკულირება არასწორია.

– ძიება შეწყვიტა თურქულმა გემმა, რომელიც იყო ჩამოსული, ვინაიდან, მათი შეხედულებით, ამოწურეს იმ მომენტში შესაძლებლობები.

ჩვენ, რა თქმა უნდა, უნდა გავაგრძელოთ ძებნა და მაქსიმალური ძალისხმევა გავწიოთ იმისათვის, რომ ვიპოვოთ დაღუპული სამხედროები.

რა თქმა უნდა, გამოძიებული უნდა იქნას, მაგრამ ასეა, ჩვენ რა ვქნათ – ვართ იმ განვითარების საფეხურზე, სადაც ბევრი რამე არის მოსაწესრიგებელი, მათ შორის, დარწმუნებული ვარ, ნორმატიული ბაზაც მოსაწესრიგებელია სამხედროების წვრთნის კუთხით, მაგრამ ყველაფერი ერთბაშად ვერ მოხდება, – განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა კიდევ ერთხელ სამძიმარი გამოუცხადა დაღუპულთა ოჯახს.

– მინდა ვთქვა, რომ მაქსიმალურს გავაკეთებთ, რომ ვიპოვოთ სამხედროები, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია ტექნიკურ შესაძლებლობებზე. ჩვენ რაც ხელთ გაგვაჩნია, ყველაფერს გავაკეთებთ – განაცხადა პრემიერმა.

**ინტერპრესნიუსი**

# „რუსეთს „ოცნების“ იმედი უფრო აქვს, ვიდრე პატრიოტთა ალიანსის“

## თამარ ჩხეიძე: „კვირიკაშვილი რესპექტაბელური ბუტაფორიაა“

მარიამ მჭედლიშვილი

წინასაარჩევნოდ გამოკვეთილ ტენდენციებზე „ახალი თაობა“ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე **თამარ ჩხეიძეს** ესაუბრა.

***— პარტიების უმეტესობა აქცენტს პენსიონერებზე აკეთებს. დაპირებები ეხება პენსიების გაზრდას, საპენსიო ასაკის შემცირებას, ასევე პენსიონერების დასაქმების ხელშეწყობას.***

— ეს გასაკვირი არაა. პენსიონერები ძალიან მრავალრიცხოვანი ფენაა და პარტიებიც ცდილობენ მათ დაინტერესებას. გარდა ამისა, პენსიები აქტუალური თემაა. საქართველოში პენსია დაბალია და მის მომატებაზე საუბარი ბუნებრივია. ეს არარეალურიც არაა, თუ მთავრობა არასაჭირო ხარჯებს შეამცირებს. რაც შეეხება დასაქმებას, პენსიონერს სჭირდება, რომ ასაკის გამო სამსახურიდან არ გაათავისუფლონ, თუ ის მუშაობს და საქმიანობის გაგრძელება სურს. სხვა შეღავათებზე ვერაფერს ვიტყვი.

***— წინასაარჩევნოდ გამოიკვეთა ისეთი თემა, როგორიცაა არაღიარება.***

— ეს თემა ერთ-ერთი განცხადების შემდეგ გახდა აქტუალური. ზოგადად, არაღიარების პოლიტიკა შესუსტებულია. ეს დაიწყო 2012 წელს, „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, ოღონდ ამის მიზეზი არაა უნიათობა, რომელსაც ამ ხელისუფლებას ხშირად აბრალებენ. არაღიარების პოლიტიკა მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად სუსტდებოდა. თავიდანვე ითქვა, რომ საქართველო არ უნდა იქცეს დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთდაპირისპირების საგნად, რომ ოკუპაციისა და დეოკუპაციის საკითხები პრიორიტეტული არ უნდა იყოს. ასეთ განცხადებებს აკეთებდა არა მარტო ივანიშვილი, არამედ ამას ამბობდნენ რესპუბლიკელებიც. მათ საერთაშორისო ტრიბუნაზე გამოსვლისასაც უთქვამთ, რომ სიტყვებს მნიშვნელობა არა აქვს და ტერმინ ოკუპაციაზე აპელირება საჭირო არ არის.

***— რა შედეგი მოჰყვა ამ პოლიტიკას?***

— საქართველოს პრობლემების დეაქტუალიზაცია. საქართველოს ხელისუფლების კოლაბორაციონისტული მოქმედებების შედეგია საოკუპაციო ზოლის მუდმივად გადმოწევა. იქ მცხოვრებმა ადამიანმა შეიძლება მოულოდნელად აღმოაჩინოს, რომ მისი ყანა საოკუპაციო ზოლის მეორე მხარეს აღმოჩნდა. ეს ყველაზე დამამცირებელია. საქართველოს ხელისუფლებას ამაზე თავიდანვე ხმაური უნდა აეტეხა, საოკუპაციო ზოლთან კი ძალოვნები ჩაეყენებინა.

***— ეს პოლიტიკა გრძელდება? პრემიერი შეიცვალა.***

— პრემიერის შეცვლით ძალიან ცოტა ცვლილება მოხდა. გამოიცვალა ტერმინები. გიორგი კვირიკაშვილი არ აკეთებს ისეთ კომიკურ და ოდიოზურ განცხადებებს, როგორსაც ღარიბაშვილი აკეთებდა. ღარიბაშვილისგან პირდაპირ ძალადობისკენ მოწოდებები ისმოდა. სხვა მხრივ არაფერი შეცვლილა. კვირიკაშვილი, მაგალითად, არ საუბრობს რუსთავის 2-ის დევნა-შევიწროებაზე, რასაც აკეთებდნენ ივანიშვილი და კალაძე, თუმცა, მთლიანობაში, პოლიტიკა არ გამოსწორებულა. კვირიკაშვილი „ქართული ოცნებისათვის“ რესპექტაბელური ბუტაფორიაა. ის გადაწყვეტილებებს ვერ იღებს.



***— მათ შორის, „ქართული ოცნების“ კანდიდატების შერჩევაშიც? კანდიდატებად სახელდებიან ყოფილი ნაციონალები, უბრალოდ, მდიდარი ადამიანები, ხელოვანები.***

— ამ ადამიანებს ერთი რამ აერთიანებთ — უპრინციპობა. როგორც მურუსიძეა ივანიშვილისთვის მისაღები მოსამართლე, ისე ეს ადამიანები არიან შესაფერისი პარლამენტისათვის თავიანთი მონური მორჩილებით. ასეთი არ გამოდგა პრეზიდენტი. გიორგი მარგველაშვილი საკუთარ თავს პლასტილინს ადარებდა. მან ამით შეცდომაში შეიყვანა ივანიშვილი. პრეზიდენტი არ გამოდგა მორჩილი, ის გააქტიურდა კიდეც. მას იმდენი ბერკეტი კი აქვს, რომ უფრო მეტი გააკეთოს.

***— მას პოლიტიკური მომავალი აქვს?***

— გიორგი მარგველაშვილს აქვს შანსი, იყოს პოლიტიკაში და იმოქმედოს პოლიტიკურ პროცესებზე, თუ მასზე დიდი წნეხი არ იქნა.

***— საუბრობენ ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკურ შანსებზეც.***

— არა მგონია, ირაკლი ღარიბაშვილს რაიმე როლის შესრულება შეეძლოს პოლიტიკაში.

***— არჩევნებს დავუბრუნდეთ. თქვენ რა ტენდენციები შენიშნეთ საარჩევნოდ?***

— ზოგიერთმა პარტიამ აშკარად სახე იცვალა. ტელევიზიაში პატრიოტთა ალიანსმა სულ სხვა ტიპის ძალად წარმოაჩინა თავი. ეტყობა, რუსეთის პოლიტტექნოლოგებმა ამ ხალხს სერიოზული რჩევები მისცეს და ტრენინგები გაატარებინეს.

***— რუსეთის პოლიტტექნოლოგებმა?***

— პატრიოტთა ალიანსს რუსულ ძალად ვთვლი და რუსეთის სპეციალისტებზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას. ჯერ ერთი, აგრესიის ნაცვლად მისი ლიდერები სულ ღიმილს აფრქვევდნენ, მეორეც, ისინი პრორუსული პოზიციებით აღარ გამოდიოდნენ. არადა, გადაცემის წამყვანებს შეეძლოთ, ეჩვენებინათ კადრები, სადაც ისინი ძალადობისკენ მოუწოდებენ და რუსეთის პოზიციებს ახმაურებდნენ. ერთადერთი, რაც ვერ დამალეს, ანტითურქული განწყობაა. თურქეთსაც აქვს მიტაცებული ჩვენი მიწები, მაგრამ ამას დე იურე ხასიათი არ გააჩნია. მსოფლიო საქართველოს ცნობს იმ საზღვრებში, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაფიქსირდა.

რუსეთი პატრიოტთა ალიანსს არ დაეყრდნობა. მას „ქართული ოცნების“ იმედი უფრო აქვს, მაგრამ უნდა, რომ ამ პარტიასაც რაც შეიძლება დიდი წარმომადგენლობა ჰყავდეს პარლამენტში. წინასაარჩევნოდ გაჩნდა, ერთი შეხედვით, ახალი უბლოკო სტატუსის იდეაც. ამ იდეით ნინო ბურჯანაძის პარტია გამოდის.

***— ეს იდეა ახალი არ არის?***

— სინამდვილეში, ესაა ხრიკი, რომლითაც უნდათ ნეიტრალიტეტის თემის შემოტანა. ეს რომ განხორციელდეს, საქართველო დაუცველი აღმოჩნდება. ეს რუსეთს უნდა. ნეიტრალიტეტს ნიღბავენ უბლოკო სტატუსით. ამით ხდება ხალხის მოტყუება. ჩვენნაირ ვითარებაში მყოფი ქვეყნისთვის ნეიტრალიტეტიც შეუძლებელია. კრავმა რომ გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი, მგელი აღარ შეჭამს? სამწუხაროდ, ჩვენში არიან მოქალაქეები, რომლებსაც მტერ-მოყვრის გარჩევა უჭირთ. მაგალითად, ზოგი ამბობს, უბლოკო სტატუსი ნატოსგან დასაცავად გამოგვადგებაო. რა დაუშავა ნატომ? დასავლეთს საქართველოს მიწები არ მიუერთებია, რუსეთი კი ოკუპანტია და თავის ოკუპაციას აგრძელებს. ინტერესები ყველა სახელმწიფოს აქვს, ჩვენ გამო თავს განსაკუთრებულად არავინ გამოიდებს, მაგრამ სწორი შეფასებები მაინც უნდა გავაკეთოთ და არ მოვტყუვდეთ.

# ნინო ბურჯანაძემ თბილისის საკრებულო დაკარგა

## რა გახდა ოგბაიძის, ვეკუასა და ცინცაბაძის წასვლის მიზეზი?

შორენა მარსაგიშვილი

არჩევნების წინ პარტიიდან ხალხის წასვლას ვერც დემოკრატიული მოძრაობა გადაურჩა. გუშინ, 1 სექტემბერს, ცნობილი გახდა, რომ ნინო ბურჯანაძე ერთდროულად პარტიის სამივე ლიდერმა უარყო. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სამივე მათგანი თბილისის საკრებულოს წევრია.

მათ წასვლასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია გავრცელდა. თავდაპირველად ითქვა, რომ ისინი პარტიიდან უბლოკო სტატუსის გამო წამოვიდნენ, მეორე ვერსიით კი მათ პარტია საარჩევნო სიის ფორმირების გამო დატოვეს.



შალვა ოგბაიძე

წამოსულები პარტიიდან წამოსვლის მიზეზებზე არ საუბრობენ. განცხადება არც პარტიაში დარჩენილ ლიდერებს გაუკეთებიათ. განმარტებები დემოკრატიული მოძრაობის პრესსამსახურის უფროსმა ბაკურ ბაკურაძემ გააკეთა.

მისი თქმით, წინასაარჩევნოდ, საპარლამენტო სიის ფორმირების პროცესში, საკრებულოს წევრებს ნერვებმა უმტყუნა.

— წინასაარჩევნოდ, სიის ფორმირების პროცესში ასეთი რამ ყველა პარტიაში ხდება. ჩვენი პარტია იყო ერთადერთი გამონაკლისი, თუმცა დღევანდელი დღის შემდეგ, სამწუხაროდ, ჩვენც შევუერთდით დანარჩენი პარტიების რიგს. ჩვენ ყოფილ თანაპარტიელებს წარმატებებს ვუსურვებთ. მათი ეს გადაწყვეტილება, ბუნებრივია, პარტიას ვერ დააზარალებს.

„ნინო ბურჯანაძე — დემოკრატიული მოძრაობა“ განაგრძობს საკუთარი დღის წესრიგით მუშაობას, იმყოფება წინასაარჩევნო პერიოდში და ვაპირებთ, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქემდე მივიტანოთ ჩვენი პროგრამის მთავარი გზავნილები, რაც აუცილებლად მოგვიტანს 8 ოქტომბრის არჩევნებში წარმატებას, — განაცხადა ბაკურ ბაკურაძემ.

ის კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საკრებულოს წევრები პარტიიდან უბლოკო სტატუსის გამო წავიდნენ. მისი თქმით, მიზეზი ეს რომ ყოფილიყო, სამეული 2 თვის წინ წავიდოდა.

— ჩვენ ვცხოვრობთ 21-ე საუკუნეში და ადვილია გადამოწმება, ასევე ყველამ იცით, რომ უბლოკო სტატუსის შესახებ ინიციატივა ჩვენ მიერ გაცხადებულ იქნა ორი თვის წინ. ასე რომ, ეს თემა მოგონილია, — აღნიშნა ბაკურაძემ.



თამარ ცინცაბაძე

რაც შეეხება იმას, თუ რა ფორმით გააგრძელებს მუშაობას ფრაქცია „დემოკრატიული მოძრაობა“, ბაკურ ბაკურაძემ განაცხადა, რომ პარტიას არ გააჩნია არანაირი იურიდიული ბერკეტი, თუმცა, როგორც პოლიტიკური, ასევე ადამიანური მორალით პარტიიდან წასულმა წევრებმა საკრებულო უნდა დატოვონ.



ზაზა ვეკუა

— რაც შეეხება საკრებულოს, სამივე დეპუტატი, რომელიც თბილისის საკრებულოში წარმოადგენს დემოკრატიულ მოძრაობას, არის პარტიული სიით გასული. მათ მიიღეს პარტიის ხმები, არცერთი მათგანი არ გახლავთ მაჟორიტარი დეპუტატი. ვინაიდან მათ მიიღეს გადაწყვეტილება პარტიის დატოვების შესახებ, როგორც პოლიტიკური, ასევე ადამიანური მორალი მოითხოვს, რომ მათ დატოვონ საკრებულო, — განაცხადა პრესსამსახურის უფროსმა.

ბაკურაძის განცხადებამდე წასულები კომენტარებს არ აკეთებდნენ. ამ განცხადების შემდეგ მათაც გააკეთეს კომენტარები.

პრესსპიკერის განცხადებით განსაკუთრებით ზაზა ვეკუა იყო აღშფოთებული, რომელსაც 1 სექტემბრამდე პარტიის გენერალური მდივნის პოსტი ეკავა.

— ბაკურ ბაკურაძეს დაავიწყდა, რომ საუბარია გენერალურ მდივანზე, აღმასრულებელ მდივანზე, მთავარი საბჭოს წევრებზე, რომლებიც იღებენ სწორედ სიის ფორმირებაში გადაწყვეტილებას და არა პირიქით, — განაცხადა ვეკუამ.

პრესსპიკერის ვერსიას კატეგორიულად უარყოფს პარტიის აწ უკვე ყოფილი აღმასრულებელი მდივანი თამარ ცინცაბაძე.

მისი თქმით, ისეთი რთული პერიოდები აქვს გამოვლილი პარტიაში, რომ ახლა ნერვები ნამდვილად არ უმტყუნებდა.

— ისეთი რთული პერიოდი გვაქვს გამოვლილი, როგორი გაჭირვებული მდგომარეობა იყო პარტიაში და მაშინ არ უმტყუნია ჩემთვის ნერვებს და ისეთი საკითხი, როგორიც არის სიის ჩამოყალიბება, არ ვიცი, ვინმეს თუ სჯერა იმის, რომ ნერვები მიმტყუნებს მე ამის გამო, მგონია, რომ ძალიან მაგრად ცდება. რაც შეეხება მორალურ პასუხისმგებლობას — დიახ, გიდასტურებთ, რომ ჩვენ სამივეს გვაქვს მორალური პასუხისმგებლობა ჩვენი თანამოქალაქეების მიმართ, — აღნიშნა ცინცაბაძემ.

პრესსპიკერის განცხადების შეფასების სურვილი არ გასჩენია შალვა ოგბაიძეს. მას არც წასვლის დეტალებზე უსაუბრია.

— არსებობს ორი ვარიანტი: ვისაუბრო დეტალურად იმ დეტალებზე, რამაც მიმაღებინა გადაწყვეტილება პარტიის დატოვების შესახებ და მეორე ვარიანტი, რომ არ ვისაუბრო. რა თქმა უნდა, მე ვირჩევ მეორე ვარიანტს. მე მაქვს ძალიან დიდი სურვილი, რომ არ დაზარალდეს პარტია, რომლის ისტორიაც, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ჩემი და ჩემი თანამებრძოლების სისხლით იწერებოდა, — განაცხადა ობგაიძემ.

* * *

ყველაზე დიდი მითქმა-მოთქმა შალვა ოგბაიძის გადაწყვეტილებას მოჰყვა. პარტიასთან ერთად მას უამრავი რამე აქვს გადატანილი. 2011 წლის 26 მაისის დარბევისას ის სასტიკად სცემეს შვილებთან ერთად. მისი შვილები დააპატიმრეს, თავად კი საოპერაციოში მოხვდა.

# საკონსტიტუციო სასამართლოში კაბელებისა და უგულავას საქმეების განხილვა გადაიდო

საკონსტიტუციო სასამართლოში კაბელებისა და გიგი უგულავას საქმეების განხილვა გადაიდო. ამის შესახებ ინფორმაციას საკონსტიტუციო სასამართლო ავრცელებს.

— დღეს, დაგეგმილი №740 და №764 გაერთიანებული კონსტიტუციური სარჩელების (მოსარჩელეები — გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლობჟანიძე, არჩილ ალავიძე; მოპასუხე — საქართველოს პარლამენტი) არსებითი განხილვა არ შედგება. მხარეებს დამატებით ეცნობებათ არსებითი განხილვის თარიღის შესახებ, — ნათქვამია საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებაში.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რატომ იწუნებს ჩინელი ტოპმენეჯერი ქართულ ცემენტს

## ქართველი დეველოპერები ადგილობრივი ცემენტის ხარისხს ენდობიან

დეველოპერული კომპანიები ქართულ ცემენტს ენდობიან და მისი ხარისხის მიმართ ეჭვები არ აქვთ.

„ჰუალინგ ჯგუფის" ერთ-ერთმა ტოპმენეჯერმა მი წაი ციმ ეს თემა კიდევ ერთხელ დააყენა დღის წესრიგში. ჩინელმა ტოპმენეჯერმა ქართულენოვან „ფორბსთან" სკანდალური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, საქართველოში ცემენტი მოძველებული ტექნოლოგიებით იწარმოება.

ტოპმენეჯერი მისი კომპანიის პროექტის, „შავი ზღვის ცემენტის" შესახებ საუბრისას ამბობს, რომ ახალი ქარხნის პროდუქცია საქართველოს ცემენტის ბაზრის დაახლოებით 50%-ს დაიკავებს.

„კომერსანტი" შეეცადა გაერკვია, რამდენად ენდობიან დეველოპერული კომპანიები ქართული წარმოების ცემენტს და მშენებლობის პროცესში უპირატესობას ადგილობრივ პროდუქციას ანიჭებენ თუ იმპორტირებულს.

დეველოპერული კომპანია „ჯი დი ჯის" დამფუძნებელი ბეჟან წაქაძე ამბობს, რომ ბაზარი ხარისხიანი და უხარისხო ცემენტითაა გაჯერებული. მისივე თქმით, ყველა კომპანია სანდო არ არის. თუმცა იმის თქმა, რომ ქართული ცემენტი უხარისხოა, არასწორი იქნება.

– დღეს ბაზარზე რამდენიმე ლიდერი კომპანიაა, რომელთა ცემენტი ნამდვილად შეესაბამება სტანდარტებს. ესენია, „ჰაიდელბერგცემენტი" და „თბილცემენტი". მათი ცემენტი ძვირია, თუმცა ხარისხიანი, – აცხადებს წაქაძე.

მისი თქმით, კომპანია „ჯი დი ჯი" ბეტონის ჩასხმის წინ აკონტროლებს ხარისხს და არასოდეს შეხვედრიათ უხარისხო მასალა.

– სერიოზული მშენებელი ბეტონის ხარისხს აკონტროლებს. მგონია, რომ ეს მონიტორინგი ყველა სერიოზულ დეველოპერულ კომპანიაში ხდება. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ქართული ცემენტის ხარისხს ყველა ენდობა, – აცხადებს წაქაძე.



სამშენებლო კომპანია „ივერონის" დამფუძნებელი არჩილ ჯაყელი ამბობს, რომ უპირატესობას ქართულ ცემენტს ანიჭებს.

მისი თქმით, მისი კომპანია ძირითადად ბეტონს მოიხმარს, და ყველა ლაბორატორიული შემოწმების შედეგად მისი ხარისხი სრულად აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს.

მისივე ინფორმაციით, ახალ სამშენებლო კოდექსში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული სერიოზული კონტროლი მშენებლობის ხარისხზე. მათ შორის, სამშენებლო მასალებზე. ჯაყელი ამბობს, რომ აღნიშნულმა რეგულაციებმა შესაძლოა მშენებლობა შედარებით გააძვიროს, თუმცა, ეს გახდება იმის გარანტი, რომ ახალი მშენებლობები სანდო და ხარისხიანი იყოს.

კომპანია „სანრემას" ხელმძღვანელი ზაზა სანიკიძეც აცხადებს, რომ ქართული წარმოების ცემენტი აკმაყოფილებს სტანდარტს და ხარისხიანია.

* * *

ამ ეტაპზე ბაზრის ლიდერი „ჰაიდელბერგცემენტია".

დღეის მდგომარეობით, კომპანია საქართველოში 3 ინტეგრირებული ცემენტის ქარხნით არის წარმოდგენილი (კასპსა და რუსთავში), ასევე ფლობს ცემენტის დამფქვავ ქარხანას ფოთში. კომპანიის მიერ წარმოებული ცემენტის წლიური მოცულობა 2 მლნ ტონას აჭარბებს და, მისი წარმომადგენლების განცხადებით, პროდუქცია მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

– „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი" „ჰაიდელბერგცემენტ ჯგუფის" ქართული შვილობილი კომპანიაა, რომელიც საქართველოში ცემენტის წარმოების ბაზრის ლიდერია, – აცხადებენ კომპანიაში, თუმცა უშუალოდ ჩინელი ტოპმენეჯერის განცხადებაზე და კომენტარს არ აკეთებენ.

რაც შეეხება ტექნოლოგიებს, კომპანიაში ამბობენ, რომ ადგილობრივ დონეზე „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" გააჩნია ტექნიკური საშუალება ევროპული ნორმებით გათვალისწინებული ყველა ტიპის ცემენტის საწარმოებლად. შედეგად, კომპანია ცემენტითა და ბეტონით თითქმის ყველა მსხვილ სამშენებლო პროექტს ამარაგებს საქართველოში.

რამდენიმე კვირის წინ „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსმა", საქართველოს თანაინვესტირების ფონდმა და „ჰანიველპარტნერსმა" 120 მლნ ამერიკული დოლარის საინვესტიციო ღირებულების ერთობლივი პროექტი დაიწყეს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსის" ცემენტისა და ბეტონის ქარხნების გადაიარაღებას თანამედროვე, ენერგოეფექტური და მაღალტექნოლოგიური დანადგარებით.

*სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე*

# უხარისხობის გამო თხილის ფასი ყოველდღიურად მერყეობს



სამეგრელოში თხილის მოსავლის აღება პრობლემების ფონზე მიმდინარეობს.

ადგილობრივების თქმით, წელს უპრეცედენტო სიტუაციაა. არის შემთხვევები, როდესაც ისინი თხილის რეალიზაციას საერთოდ ვერ ახერხებენ უხარისხობის გამო.

თხილის მწარმოებელ ხვიჩა ნანავას თქმით, თხილის ჩამბარებელი პუნქტები მასობრივად აბრუნებენ კლიენტებს, რადგან თხილის არც ნაჭუჭი ვარგა და არც გული.

ადგილობრივების თქმით, თხილის ფასი ასეთი არასტაბილური არასდროს ყოფილა, ერთ დღეს შეიძლება 5 ლარამდე იყოს, მეორე დღეს კი 2,50 ლარამდე დაეცეს.

ქარხნები განსაკუთრებული სიფრთხილით ამოწმებენ ნედლეულს.

– ქარხანამ უარი მითხრა ახალი თხილის მიღებაზე. შარშანდელი თხილი რომ არ იყოს, ვერც კი ვიმუშავებთ. თხილის ფასი ყოველდღიურად მერყეობს. ხვალ რა იქნება, არავინ იცის. ძალიან დაძაბულები ვართ. ახლა 2 ტონამდე თხილი მაქვს საწყობში და არ ვიცი, კიდევ მივიღო თუ ჯერ ეს ამოვყიდო. გლეხები ცდილობენ, სანამ ნედლეულს წონა აქვს, მოიშორონ, – ამბობს თხილის მწარმოებელი ვალერი კოდუა.

*ლალი პაპასკირი, ბიპიენი*

# მსოფლიო ბანკი: საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები 4 წლის განმავლობაში ზედიზედ მცირდება

მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები 4 წლის განმავლობაში ზედიზედ მცირდება.




2014 წლისთვის ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 32.3% (1.4 მლნ.) იყო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, როდესაც ეს მაჩვენებელი 2013 წელს 36%-ს (1.6 მლნ-ს), 2012 წელს 42.5%-ს (1.9 მლნ-ს), ხოლო 2011 წელს 44.8%-ს (2.0 მლნ-ს) უტოლდებოდა.

2012 წელთან შედარებით 2014 წელს დაახლოებით 500,000-მა ადამიანმა დააღწია თავი უკიდურეს სიღარიბეს.

2010-2014 წლებში სიღარიბის მაჩვენებლების შემცირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება 2010 წლამდე არსებული მდგომარეობისგან, როცა სოციალური ტრანსფერები თამაშობდა უფრო მნიშვნელოვან როლს სიღარიბის შემცირებაში.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია მთავრობის პოლიტიკა, რომლის მიზანია სიღარიბის მაჩვენებლის შემცირება მოსახლეობაში.

მსოფლიო ბანკის მიერ სიღარიბის შემცირების მამოძრავებელ ფაქტორებად დასახელდა ეკონომიკურ შესაძლებლობებზე ინკლუზიური ხელმისაწვდომობა, სოფლის განვითარებაზე მეტი ყურადღება და ფისკალური პოლიტიკის როლი.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, 2014 წელს შემცირდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა. 2014 წელს საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 32.3% (1.4 მილიონი ადამიანი (მსყიდველუნარიანობის პარიტეტის მიხედვით) ხარჯავს დღიურად 2.5 აშშ დოლარზე ნაკლებს, რაც ბოლო 9 წლის განმავლობაში სიღარიბის დონის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

სიღარიბის მაჩვენებლის ყველაზე მაღალი ნიშნული 2010 წელს დაფიქსირდა და 46.7% (2.1 მილიონი ადამიანი) შეადგინა.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, სიღარიბის მაჩვენებლის შემცირება კვლავ გაგრძელდება შემდეგ წლებშიც და 2018 წლისთვის სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის მაჩვენებელი 25.5%-ს გაუტოლდება.

მსყიდველუნარიანობის პარიტეტზე დაყრდნობით დათვლილი სიღარიბის აღნიშნული მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება როგორც თბილისში, სადაც 2014 წელს 17.2% შეადგინა, ასევე ქვეყნის სხვა ქალაქებში და სოფლად, სადაც ეს მაჩვენებელი, შესაბამისად, 25.4 და 42.8%-ს შეადგენს.

იმ ფონზე, რომ წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა იმ მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში, რომელიც დღეში 2.5 აშშ დოლარზე ნაკლებს ხარჯავდა, გაიზარდა იმ მოსახლეობის ხვედრითი წილი, რომელიც დღიურად 5-10 აშშ დოლარს ან 10 აშშ დოლარზე მეტს ხარჯავს.

# ლიბერთი ბანკი ძუძუს კიბოსთან ბრძოლაში ჩაერთვება

1 სექტემბერს კომპანია ეივონ (AVON) კოსმეტიკს საქართველოს დირექტორმა სერგეი ოსადჩიმ და ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ალექსი ხოროშვილმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.




მემორანდუმის ფარგლებში ლიბერთი ბანკი ჩაერთვება კომპანია ეივონის კამპანიაში, რაც მიზნად ისახავს მოსახლეობამდე ძუძუს კიბოსა და მისი პრევენციის ზომების შესახებ ინფორმაციის მიტანას.

დამატებით, კომპანია ეივონი უზრუნველყოფს ქალბატონთა უფასო კონსულტაციას, ექოსკოპიურ და მამოგრაფიულ გამოკვლევებსა და დიაგნოსტიკას მობილური კლინიკის საშუალებით.

ლიბერთი ბანკი საქართველოს ბაზარზე მომსახურების ყველაზე ფართო ქსელით არის წარმოდგენილი და 1.5 მილიონზე მეტ მომხმარებელს ემსახურება. ამ კამპანიაში ჩართვით ბანკი გამოიყენებს საკუთარ პლატფორმას და ინფორმაციას მიაწვდის მოსახლეობას არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიც, სადაც სამედიცინო ინფრასტრუქტურა სათანადოდ არ არის განვითარებული და ქალბატონებს ხელი არ მიუწვდებათ უფასო სკრინინგის პროგრამებთან.

ლიბერთი ბანკი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალების გავრცელებას და ასევე ინფორმაციას მიაწვდის მოსახლეობას მათ რეგიონში კომპანია ეივონის მობილური კლინიკის ვიზიტის შესახებ.

1992 წლიდან კომპანიაAVON აქტიურად ახორციელებს ძუძუს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლას მთელ მსოფლიოში. 2013 წლიდან არსებულ პროგრამას AVON საქართველოც შეუერთდა. საქველმოქმედო მიზნების განსახორციელებლად ეივონი საქველმოქმედო პროდუქტების გაყიდვის შედეგად მიღებულ შემოსავალს სრულად მიმართავს ძუძუს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლისკენ.

კომპანიამ 2014 წელს ულტრათანამედროვე ციფრული მამოგრაფიული აპარატი შეიძინა და ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალში განათავსა, სადაც საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ ქალბატონს შეუძლია, უფასოდ ჩაიტაროს გამოკვლევა და მიიღოს კვალიფიციური მამოლოგის კონსულტაცია. ამის გარდა, კომპანია ყოველწლიურად ახორციელებს ვარდისფერ მსვლელობას, რომელიც ემსახურება ძუძუს კიბოს შესახებ ცნობადობის გაზრდას.

2016 წლის 15 აგვისტოდან კომპანიამ მობილური კლინიკის საშუალებით დაიწყო რეგიონებში ვიზიტი, სადაც ქალბატონები იღებენ უფასო კონსულტაციასა და დიაგნოსტიკას თანამედროვე სამედიცინო ტექნიკის გამოყენებით. კამპანია დაიწყო რაჭაში და გაგრძელდება სვანეთში, გურიასა და სამეგრელოში.

ძუძუს კიბო ერთ-ერთი ყველაზე ხშირი დაავადებაა ქალებში, ამავე დროს, ადრეულ სტადიაში აღმოჩენისას 10-დან 8 შემთხვევის თავიდან აცილება შესაძლებელია. მუდმივი თვითშემოწმება და სკრინინგი საგრძნობლად ამცირებს კიბოს განვითარების რისკს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტმა ქალბატონმა მიიღოს ინფორმაცია თვითშემოწმების მეთოდებისა და სკრინინგის შესახებ.

პროგრამის ფარგლებში, რეგიონებში მცხოვრები ქალბატონები მიიღებენ როგორც მამოლოგის უფასო კონსულტაციას, ასევე პირველად ექნებათ შესაძლებლობა, ჩაიტარონ უფასო მამოგრაფიული და ექოსკოპიური გამოკვლევები.

– ლიბერთი ბანკის მხარდაჭერა ამ კამპანიაში უდავოდ ღირებულია და მნიშვნელოვანია, რადგან უფრო მეტი ქალბატონი შეიტყობს მობილური კლინიკის მომსახურების შესაძლებლობაზე და ასევე მიიღებენ საგანმანათლებლო მასალებს ძუძუს კიბოს პრევენციის ზომების შესახებ, – აღნიშნა კომპანია ეივონის დირექტორმა სერგეი ოსადჩიმ.

– მოხარული ვართ, რომ ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეში გარკვეულ წვლილს ჩვენც შევიტანთ. კომპანია ეივონთან ერთად განვახორციელებთ ასევე სხვა ღონისძიებებს, რომელიც ხელს შეუწყობს ძუძუს კიბოსა და მისი პრევენციის შესახებ ცნობადობის გაზრდას საქართველოში, – აღნიშნა ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ალექსი ხოროშვილმა.

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

2016 წლის 1 სექტემბრის გაზეთ „ახალი თაობა"-ში, ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული იქნა ინფორმაცია ,,სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ". აღნიშნულ ინფორმაციაში მე- 13 ობიექტზე გაიპარა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ლიცენზიის მოქმედების ვადა 25 წლის ნაცვლად მითითებულია 5 წელი.

# „ჩვენი შვილები საძილე ტომრებში დახვრიტეს“

**— მე მინდა, ჩვენმა ქისტებმა, ჩვენმა თანამემამულეებმა, დაღუპულების ნათესავებმა აუცილებლად იცოდნენ, რომ ლოპოტის ხეობაში მომხდარ უბედურებას ჩვენ გამოუძიებელს არ დავტოვებთ. ყველაფერს გავარკვევთ და გპირდებით, რომ დამნაშავე არ დარჩება დაუსჯელი.**

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ეს განცხადება 2012 წლის 9 სექტემბერს გააკეთა. მას შემდეგ 4 წელი გავიდა. ლაფანყურის საქმეზე გამოძიება დღემდე არ არის დასრულებული.**

— მოწმეები იყვნენ თუ ეჭვმიტანილები, ყველა გაუშვა ამ ხელისუფლებამ. საქართველოში არცერთი არ დატოვეს. ზოგი სირიაში აღმოჩნდა, ზოგი ევროპაში, ზოგი ოდესაში. სირიაში ვინც წავიდა, ზოგიერთები უკვე ცოცხლებიც აღარ არიან, — ამბობს ასლუდინ ალდამოვი, ლოპოტის ხეობაში 2012 წლის 28 აგვისტოს ლიკვიდირებული 26 წლის ბაჰაუდინ ქავთარაშვილის მამა.

ის ამბობს, რომ წელიწადზე მეტია, კავშირი აღარ აქვთ გამოძიებასთან.

— ვცდილობდით, გამომძიებლებს შევხვედროდით, მაგრამ ისინიც გაგვირბიან. ყველა დუმს. ყველა გაჩუმებულია — ხელისუფლება, პროკურატურა, გამოძიება. არასამთავრობოების დიდი იმედი გვქონდა, მაგრამ ისინიც ხმას არ იღებენ, — ამბობს ასლუდინ ალდამოვი.

მისი თქმით, ეს ხელისუფლება ტყუილებითაა გაჟღენთილი.

— ყველა, „ქართული ოცნებიდან“ დაწყებული ზვიადაურით დამთავრებული, რამდენი არიან პარლამენტში, ყველა თავის საქმეებზე დარბის. ყველა გახმაურებულ საქმეზე საუბრობენ, ერთადერთი, რაზედაც ხმას აღარ იღებენ, ეს ლაფანყურის საქმეა, ლაფანყურის მკვლელობები, — აღნიშნავს ასლუდინ ალდამოვი კახეთის საინფორმაციო ცენტრთან ინტერვიუში.

მისივე თქმით, პირებს, მათ შორის ყოფილ მაღალჩინოსნებს, ვინც ლიკვიდაციის გადაწყვეტილება მიიღო, პასუხისგება მაინც მოუწევთ.

— მათ მოუწევთ პასუხისგება, ვინც გინდა იყვნენ. ჩემი ოჯახის გარდა კიდევ ექვსი ოჯახია. ყველას მათ მოუწევთ შვიდ ოჯახთან პასუხისგება. ჩვენ ვიცით, ვინც არიან. ვისი ბრძანებითაც, ვისი ხელშეწყობითაც არიან ეს ბიჭები დახვრეტილები საძილე ტომრებში. ჩემი შვილი და კიდევ 6 პირი შუაღამემდე იყვნენ ყარაულებად, შუაღამის შემდეგ ესენი დაწვნენ და ჯგუფის სხვა წევრები იდგნენ ყარაულებად.

ესენი რომ დაწვნენ, ამის მერე არიან დახოცილები საძილე ტომრებში, მძინარე. ისინი კი, ვინც ვითომ ყარაულობდნენ, გაერიდნენ და წავიდნენ. მაშინდელმა სპეცსამსახურებმა ყველაფერი იცოდნენ, რა ხდებოდა, მით უფრო პანკისში და ამხელა შეიარაღებული ჯგუფი რომ იყო ხეობაში, 60 კილომეტრი რომ გაიარეს ლოპოტაში, ეგ არ იცოდნენ? გამორიცხულია. სააკაშვილის რეჟიმის დროს მათ თვითონ ჩამოიყვანეს ახალგაზრდები ევროპიდან და სხვა ქვეყნებიდან. 200-მდე ადამიანი, ჯერ კიდევ მარტში, — ამბობს ასლუდინ ალდამოვი.

ხელისუფლებასთან ლაფანყურის საქმის გამოუძიებლობის გამო პრეტენზია აქვს სპეცოპერაციის დროს ლიკვიდირებული 22 წლის ასლან მარგოშვილის დედას, ლელა მარგოშვილსაც.



— ლიკვიდაციის შემდეგ ჩვენი შვილები ტერორისტებად შერაცხეს. ოთხი წელი გავიდა და ჩვენ დაზარალებულებადაც არ ვართ ცნობილი, ისინი კი, ვინც ეს ახალგაზრდები ჩამოიყვანა საქართველოში, შეაიარაღა, გაწვრთნა და მერე ამოხოცა, თავისუფლად არიან თანამდებობებზე და პასუხისგებაშიც არავინაა მიცემული, — აღნიშნავს ლელა მარგოშვილი.

❖ ❖ ❖

საქართველოს შს სამინისტრომ ანტიტერორისტული ოპერაცია სოფელ ლაფანყურთან, ლოპოტის ხეობაში, 2012 წლის 28 აგვისტოს, გვიან ღამით დაიწყო. შსს-ს ცნობით, სპეცოპერაცია ლაფანყურის ტყიდან 5 ახალგაზრდის გატაცებას მოჰყვა. არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდები 25 აგვისტოს დაიკარგნენ.

შსს ირწმუნებოდა, რომ შეიარაღებულმა ჯგუფმა საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა და ახალგაზრდები მძევლებად აიყვანა.

29 აგვისტოს შსს-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ოპერაციისას დაიღუპა შსს-ს 2 თანამშრომელი და სამხედრო ექიმი, დაიჭრა 5 ქართველი სპეცრაზმელი, მოხდა 11 დივერსანტის ლიკვიდაცია, 6 კი ალყაში ჰყავდათ მოქცეული.

საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ შეიარაღებული ჯგუფიდან ლიკვიდირებული იყო 7 წევრი: საქართველოს მოქალაქეები: ასლან მარგოშვილი, დაბადების თარიღი — 28/06/1990 და ბაჰაუდინ ქავთარაშვილი, დაბადების თარიღი 07/02/1986. რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები — ბაჰაუდინ ბალაკაშვილი, დაბადებული გროზნოში, 1986 წლის 10 თებერვალს; დუკვახა დოშუევი, დაბადების თარიღი: 19/01/1968, დაბადების ადგილი ჩეჩნეთი, ქ. ვეგენო. სალამ ზაურბეკოვი, დაბადების თარიღი: 14/12/1991, დაბადების ადგილი ჩეჩნეთი, ქ. გროზნო. ხაშიევ ჯაბრაილი, დაბადების თარიღი: 24/01/1989, დაბადების ადგილი ინგუშეთი. მუსა ადუევი, დაბადების თარიღი: 28/03/1981, დაბადების ადგილი ქ. გროზნო.

დაიღუპა ასევე სპეცრაზმის 2 წევრი, სოლომონ წიკლაური და არჩილ ჩოხელი, ასევე თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ძალების ექიმი, კაპრალი ვლადიმერ ხვედელიძე.

ლოპოტის ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ და „ი“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს — ლაფანყურელი ახალგაზრდების მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე. გამოძიებას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აწარმოებს.

სახალხო დამცველი საპარლამენტო ანგარიშში აცხადებს, რომ საქართველოში ჩეჩენი მებრძოლების ჩამოყვანის ორგანიზებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები, მინისტრის მოადგილე გია ლორთქიფანიძე, ანტიტერორისტული ცენტრის უფროსი ზურაბ მაისურაძე და ამავე ცენტრის კახეთის სამმართველოს უფროსი სანდრო ამირიძე ხელმძღვანელობდნენ.

სახალხო დამცველის განცხადებით, საქართველოში ჩამოყვანილ ჩეჩნებს აძლევდნენ იარაღს, წვრთნიდნენ და ჰპირდებოდნენ დერეფნის მიცემას რუსეთის ტერიტორიაზე გადასასვლელად.

*კახეთის საინფორმაციო ცენტრი*

# ამერიკის ხმა: „სანდრას დეპუტატობა მოუნდა“

**რადიო ამერიკის ხმის რუსულენოვანი სამსახურის მიერ ეთერში გადაიცა მასალა, რომელიც საქართველოს პარლამენტის არჩევნებს, კერძოდ, სანდრა რულოვსის დეპუტატობის კანდიდატად წარდგენას ეხება.**

— სანდრა რულოვსი კენჭს სამეგრელოში იყრის, ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში, მაგრამ იგი პარტიულ სიაშიც მეორე ნომრადაა შეტანილი ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ თუ 8 ოქტომბრის არჩევნებში სანდრა საკმაო ხმებს ვერ დააგროვებს, იგი პარტიული სიით პარლამენტში მაინც მოხვდება, — აღნიშნულია პუბლიკაციაში.

ბოლო დროს ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, ნაცმოძრაობა საკანონმდებლო ორგანოში აუცილებლად იქნება წარმოდგენილი. თვითონ მიხეილ სააკაშვილს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს, იგი უკვე უკრაინის მოქალაქეა. გარდა ამისა, მის წინააღმდეგ საქართველოში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

პრეზიდენტობის ვადის დასრულების შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა სასწრაფოდ უცხოეთს მიაშურა და მას შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. ქმრისგან განსხვავებით, სანდრა რულოვსი, რომელსაც ორმაგი მოქალაქეობა აქვს (საქართველოს და ჰოლანდიის), საცხოვრებლად თბილისში დარჩა, უმცროს ვაჟთან ერთად და ჯერ კიდევ ქმრის პრეზიდენტობის დროს დაწყებული საქველმოქმედო საქმიანობა განაგრძო.

მშობლიურ ჰოლანდიურთან ერთად, იგი კარგად ფლობს ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ ენებს. სანდრა რულოვსმა იცის აგრეთვე მეგრული ენაც.

როგორია სანდრა რულოვსის წარმატების შანსები?

„ამერიკის ხმის“ კორესპონდენტი ესაუბრება ქართველ ექსპერტ **ზაალ ანჯაფარიძეს:**

— ნაცმოძრაობის ამომრჩევლისათვის მიზიდულობის ცენტრად კვლავ მიხეილ სააკაშვილი ითვლება: პარტიამ მის ნაცვლად რომელიმე სხვა ქარიზმატული და საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე ლიდერის წარმოჩენა ვერ მოახერხა. შესაბამისად, არჩევნებში მიხეილ სააკაშვილის ცოლის, წარმოშობით ჰოლანდიელი პიროვნების, რომელიც საუკეთესოდ შეეგუა ქართულ პირობებს, მონაწილეობა დეპუტატობის კანდიდატის რანგში კარგად გათვლილი პოლიტტექნოლოგიური ნაბიჯია.

ზუგდიდში ნაციონალებს შედარებით მტკიცე პოზიციები აქვთ. სანდრამ მეგრელებზე დიდი შთაბეჭდილება ჯერ კიდევ 2012 წელს მოახდინა, როცა მან მეგრულად იმღერა. ამჟამად კი სანდრამ მიანიშნა, რომ თავის ქმართან შეთანხმებით მოქმედებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სანდრა რულოვსის პოლიტიკურ თამაშში შემოყვანით მიხეილ სააკაშვილის პარტიამ თავისი ერთ-ერთი ბოლო წინასაარჩევნო კოზირი გვაჩვენა, — ამბობს ზაალ ანჯაფარიძე.

კიდევ ერთი ქართველი ექსპერტი ნიკა ჩიტაძე თვლის, რომ სანდრა რულოვსს აქვს იმის პოტენციალი, რომ ცნობილ პოლიტიკოსად გადაიქცეს.

— ამ ეტაპზე ამომრჩეველი სანდრას ნომინალურ ფიგურად ღებულობს, მიხეილ სააკაშვილის შემცვლელად, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობა არ შეუძლია, თუმცა მას შემდეგ, რაც სანდრა რულოვსი გამოცდილებას მიიღებს, იგი შეძლებს ქმრის ჩრდილიდან გამოსვლას და დამოუკიდებელ პოლიტიკურ საქმიანობას, — ფიქრობს ნიკა ჩიტაძე.

ამავე დროს, ექსპერტის აზრით, იმ ფაქტს, რომ სანდრა რულოვსი ექსპრეზიდენტის ცოლია, ოპონენტები გამოიყენებენ და შეეცდებიან ამომრჩეველთა დარწმუნებას, რომ ხმა მის სასარგებლოდ არ მისცენ.

— რადგანაც სანდრა რულოვსი ცნობილია თავისი საქველმოქმედო საქმიანობით, ასევე პირადი მომხიბვლელობით, იგი სიმპათიებით სარგებლობს ელექტორატის იმ ნაწილშიც კი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მიმართ კრიტიკულადაა განწყობილი, — ამბობს ექსპერტი.



*ნიუსპრესი*

## ყველაზე იღბლიანი ძაღლი ბოლივიაში ცხოვრობს

ბოლივიელი ძაღლი მსოფლიოში ყველაზე იღბლიან ძაღლად აღიარეს. ეს კი მას შემდეგ მოხდა, როდესაც სარბოლო ტრასაზე გამოსულ ცხოველს რბოლის მონაწილე დიდი სისწრაფით მომავალი მანქანა ზევიდან გადაახტა.

მომხდარის ამსახველი ვიდეო ბოლივიის სანტა-კრუსის დეპარტამენტში მიმდინარე რბოლის ერთ-ერთმა მაყურებელმა გადაიღო.



რბოლის მაყურებლებმა გზაზე გამოსული ლეკვი შენიშნეს და შეეცადნენ, ამის შესახებ ურუგვაელი მრბოლელის ფერნანდო ზუასნაბარუსთვის მიენიშნებინათ, რომელიც მიცუბიში ევოს საჭეს მართავდა, მაგრამ სპორტსმენმა ვერაფერი შენიშნა. ძაღლის ტრასიდან განდევნისთვის მაყურებლების შეძახილებმაც ვერ გამოიღო შედეგი.

მას შემდეგ, რაც ტრასის შემაღლებაზე ამხტარი სპორტკარი ძაღლს ზევიდან გადააფრინდა, შეშინებულმა ცხოველმა უკანმოუხედავად მოკურცხლა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## „ეს ბანი ვერაფრით წარმომიდგენია ჩემს გუნდად“

ანდრო ბარნოვი გორის მაჟორიტარი დეპუტატობისთვის აღარ იბრძოლებს და ამ გადაწყვეტილების მიზეზად ის გირჩის პაატა ბურჭულაძის მოძრაობასთან გაერთიანებას ასახელებს:

— მოკლედ, დიდხანს ვითრიე ფეხი, მიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება. ერთი მხრივ, არის დიდი ხნით ადრე დაანონსებული გადაწყვეტილება, რომ გორში ვიყარო კენჭი, მეორე მხრივ კი — ეს ბანი, რომელიც ვერაფრით წარმომიდგენია „ჩემს გუნდად“.

ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ჩემი ადგილი ამ პოლიტიკურ გადანაწილებაში არ არის. უბრალოდ, არ არსებობს ასეთი ადგილი. ძალიან ვწუხვარ, რომ თავიდანვე დამოუკიდებლად არ დავაყენე კანდიდატურა. ახლა, უბრალოდ, ყველა ვადა გასულია...

მოკლედ, მე ამ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მივიღებ და ბოდიშს ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც იმედიანად იყო, რომ რამის შეცვლას შევძლებდი. დიდი ბოდიში, კარგო ადამიანებო, ახალ პოლიტიკურ ცენტრს განვიხილავდი პლატფორმად, აქ ვხედავდი თანამოაზრეებს, ვისთანაც საერთო ხედვები და პრინციპები მქონდა, ახლა კი ამ ახალ კოალიციაში ყველაფერი ერთმანეთში აითქვიფა. ეს აღარ არის ჩემი თანამოაზრეების გუნდი, ეს აღარ არის იდეებისთვის ბრძოლის პროცესი, პარლამენტის სკამის დაკავება კი პანაცეა არ არის.



**ანდრო ბარნოვი დეპუტატობისთვის აღარ იბრძოლებს**

ასეა თუ ისე, ყველაფერი წინაა და, იმედია, ყველას ესმის, რომ ყოველთვის გავაკეთებ მაქსიმუმს, რასაც ჩემი ქვეყნის და საზოგადოების ინტერესები მოითხოვს. კიდევ ერთხელ დიდი ბოდიში ამომრჩეველს, იმედია, ხვდებით, რომ ჩემგან დამოუკიდებელმა პროცესებმა მიმაღებინა ეს გადაწყვეტილება. — წერს ანდრო ბარნოვი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

*პირველი რადიო*

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
**ქალბატონი ქეთათო**

# ფინეთი შესაძლოა ნატოს წევრი გახდეს





ფინეთის თავდაცვის მინისტრმა ნიინისტემ განაცხადა, რომ არსებობს შესაძლებლობა, მისი ქვეყანა ნატოს წევრი გახდეს.

მისი აზრით, მოსკოვის პოლიტიკა სულ უფრო აგრესიული ხდება, რაც სრულიად კანონზომიერია.

– პროექტი სახელწოდებით „დემოკრატიული რუსეთი“ ჩაიშალა. მოსახლეობის უმრავლესობა თავს მოტყუებულად გრძნობს. ამას ემატება „დერჟავაზე“ ანუ საბჭოთა ეპოქაზე ნოსტალგია, რომელიც რუსებში ძალიან ძლიერია, – თქვა ფინეთის თავდაცვის მინისტრმა.

ნიინისტემ ხაზი გაუსვა იმას, რომ დონბასის გაჭიანურებულმა ომმა და დასავლეთის სანქციებმა ცეცხლზე ნავთი დაასხა. რუსეთის მოსახლეობა გაბოროტებულია, თანაც იმდენად, რომ ეს უკვე საღ აზრს ჩრდილავს.

– ან გაბოროტებული, გაღატაკებული მოსახლეობა მთავრობის წინააღმდეგ ამხედრდება, ან ეს აგრესია დასავლეთის მიმართულებით იქნება წარმართული. ბუნებრივია, პუტინი მეორე ვარიანტის გათამაშებას ცდილობს, – თქვა ნიინისტემ.

ფინეთის თავდაცვის მინისტრი ასკვნის, რომ ნეიტრალიტეტი ფინეთს ვერ დაიცავს, მეტიც, შექმნილ სიტუაციაში ეს უკვე სახიფათოც კია. რუსეთის პირისპირ დარჩენილ პატარა ფინეთს ძალიან გაუჭირდება. მისი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტი მხოლოდ ნატოა.

– დადგა დრო, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაზე ვიფიქროთ, რათა ალიანსის წევრები რაც შეიძლება სწრაფად გავხდეთ, – აცხადებს ნიინისტე.

ასეთ ნაბიჯად ფინეთის თავდაცვის მინისტრს აშშ-სთან სამხედრო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა მიაჩნია. ნიინისტეს აზრით, ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს, რაც მის ქვეყანას ტრანსატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებისკენ გზას გაუხსნის.

ფინეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებამ კრემლის აგრესიული რეაქცია გამოიწვია.

რუსეთის პრემიერმა მედვედევმა განაცხადა, რომ ფინეთის ნატოში გაწევრიანება ევროპაში ძალთა ბალანსს ძირფესვიანად ცვლის.

– ჩვენ ალყაში გვაქცევენ, – თქვა მედვედევმა და დაუმატა, რომ ამას რუსეთის მხრიდან კონკრეტული საპასუხო მოქმედებები მოჰყვება. მედვედევმა დაკონკრეტება არ ისურვა. სამაგიეროდ, ვლადიმერ პუტინი გაცილებით კონკრეტული იყო:

– ჩვენ იძულებული გავხდებით, ფინეთის საზღვართან ჩვენი ჯარების კონცენტრაცია მოვახდინოთ!

ამან ფინელები კიდევ უფრო გაალიზიანა. ფინეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ამჟამად კი თავდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე კანერვაამ განაცხადა, რომ დაყოვნება არ შეიძლება და ხელშეკრულებას აშშ-თან ხელი რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოეწეროს.

– სავარაუდოდ, ეს ბარაქ ობამას პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას მოხდება, – ამბობს კანერვაა.

## ტრამპი მექსიკის პრეზიდენტს შეხვდა



აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი მექსიკას ესტუმრა. აქ ის მექსიკის პრეზიდენტ ნიეტოს შეხვდა. საუბარი აშშ-ში მყოფ მექსიკელ მიგრანტებს შეეხებოდა.

ტრამპმა კვლავ განაცხადა, რომ აშშ-სა და მექსიკას შორის კედელი უნდა აშენდეს და ეს მშენებლობა მექსიკამ დააფინანსოს.

ნიეტომ ამაზე მიუგო, რომ მექსიკა ასეთ მშენებლობას არ დააფინანსებს.

– მაშინ ჩვენს ტერიტორიაზე მყოფ მექსიკელებს სამშობლოში ფულის გადარიცხვას ავუკრძალავ! – მიუგო ტრამპმა.

ბევრი მოელოდა, რომ მექსიკიდან დაბრუნებული ტრამპი მიგრანტების მიმართ თავის აგრესიულ რიტორიკას შეცვლიდა. მოლოდინი არ გამართლდა. აშშ-ში დაბრუნებულმა ტრამპმა განაცხადა, რომ ყველა არალეგალის მიმართ, რომლებმაც ამერიკის ტერიტორიაზე დანაშაული ჩაიდინეს და ახლა ციხეში სხედან, ამნისტიას არ გამოიყენებენ. ამას გარდა, დეპორტირებული იქნება ყველა, ვინც ამერიკაში უკანონოდ ცხოვრობს.

## იტალიაში ახალი მიწისქვეშა ბიძგები დაფიქსირდა

პერუჯის მახლობლად ახალი მიწისქვეშა ბიძგები დაფიქსირდა. მათი ეპიცენტრი პერუჯის მახლობლადაა.

მსხვერპლსა და ნგრევას ამჯერად ადგილი არ ჰქონია.

მიუხედავად ამისა, მოსახლეობაში პანიკა შეინიშნება. იტალიაში შექმნილი მძიმე ვითარება ევროპის ქვეყნების შეშფოთებას იწვევს:

– ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რათა ჩვენს იტალიელ ძმებს დავეხმაროთ, – განაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა.



## ბრაზილიას პრეზიდენტი აღარ ჰყავს



ბრაზილიის სენატმა მხარი დაუჭირა პრეზიდენტ რუსეფის იმპიჩმენტს. ამას ხმა მისცა 61-მა სენატორმა, თუმცა საამისოდ 54 ხმაც კმაროდა.

რუსეფს ბრალად კორუფცია და თანამდებობის ბოროტად გამოყენება დასდეს.

თავად რუსეფმა სენატში ჩატარებულ პროცედურას უკანონო უწოდა და განაცხადა, რომ ამას კონსტიტუციურ სასამართლოში გაასაჩივრებს.

პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება ვიცეპრეზიდენტ მიშელ ტემერს დაეკისრა. პრეზიდენტის პოსტზე ის 2019 წლის 1 იანვრამდე იქნება.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## ტერეზა მეი: „მეორე რეფერენდუმი არ იქნება“



ბრიტანეთის პრემიერმა ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ ევროკავშირთან ყველაფერი გარკვეულია და ამ საკითხზე მეორე რეფერენდუმი არ იქნება.

– ჩვენ ევროკავშირის უკანა კართან დგომას არ ვაპირებთ! ჩვენ გაგვაჩნია ჩვენი ადგილი გეოპოლიტიკაში, ამიტომაც წარმატებული ქვეყანა ვიქნებით, – თქვა მეიმ.

## შვიდი წლის გოგონამ ნაგავში ოლიმპიური მედალი იპოვა

შვიდი წლის ჰლოე სმიტმა, რომელიც ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში ცხოვრობს, ნაგავში 1992 წლის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი იპოვა.



გოგონამ ნაგვის გროვაში რაღაც მბზინავი შენიშნა, როდესაც მამასთან ერთად ნაგვის გროვას გვერდით ჩაუარა. გაირკვა, რომ მან ჯო ჯეკობის ოქროს მედალი იპოვა, რომელიც სპორტსმენმა სკოტ სტროსბოსთან ერთად ორადგილიანი კანოეთი შეჯიბრებაში მოიგო ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე.

გოგონას ოჯახი დაუკავშირდა ყოფილ სპორტსმენს და მას ჯილდო დაუბრუნა. თავის მხრივ, ჯეკობსი პირველი კლასის გაკვეთილს დაესწრო, რომელშიც ჰლოე სწავლობს და მის თანაკლასელებს გოგონას საქციელზე უამბო.

ჯეკობსის თქმით, მან მედალი ივნისში დაკარგა, როდესაც უცნობმა პირებმა მის მანქანაში შეაღწიეს და ყველაფერი წაიღეს, რაც კი ფასეული ნახეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავისმკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

### მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ბერძენ-რომაელთა ტრიუმფი



საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრწყინვალედ გამოვიდა. საფრანგეთის ქალაქ მაკონში მიმდინარე ჩემპიონატზე მეორე დღეს მედლები ოთხ წონით კატეგორიაში გათამაშდა და მათგან სამში, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ქართველი მოჭიდავე ავიდა. მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ: დათო ჩხარტიშვილი (55 კგ), რამაზ ზოიძე (66 კგ) და ზვიად პატარიძე (120 კგ).

ჩხარტიშვილი მერვედფინალიდან ჩაერთო და გერმანელ ალექსანდერ გინცს ადვილად მოუგო – 8:2. შემდეგ იტალიელი ჯაკოპო სანდრონი (4:2) დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში ყირგიზი ნუზურბეკ ტოპჩუბაევი – 9:8. ჩვენებური ოქროს მედალს იაპონელი იო ნამბას ძლევით (3:2) დაეუფლა.

რამაზ ზოიძე საჭიდაოდ მსოფლიოს ჩემპიონის რანგში გავიდა და ზედიზედ მეორედ დაამტკიცა, რომ საუკეთესოა. საჩემპიონო ბრძოლაში ზოიძემ ყაზახ კაჰარმან კისიმეტოვს 5:1 მოუგო. მანამდე კი ოთხჯერ მოუწია ჭიდაობა და ლიტველ კრისტუპას სლეივას (6:4), ბრაზილიელ ჟოილსონ დე ბრიტო რამოს ჟუნიორს (12:4), ეგვიპტელ მუჰამედ იბრაჰიმ ელსაიედსა (11:1) და ირანელ მოჰამად ჰუსეინ მორად ელიასის (7:5) სძლია.

ზვიად პატარიძემ მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატი წაუგებლად ზედიზედ მეოთხედ ჩაამთავრა. 2013 და 2014 წლებში პატარიძე ჭაბუკებს შორის გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ხოლო 2015 და 2016 წლებში ახალგაზრდებში დაეუფლა ტიტულს, თან ისე, რომ წარმატების მცირე შანსიც კი არცერთი მეტოქისთვის არ მიუცია.

ამჯერად საჩემპიონო გზაზე ქართველმა მძიმეწონოსანმა 31 ქულა აიღო და მხოლოდ 1 დათმო, როდესაც მერვედფინალში ირანელ მოჰამადზამან მირზაზადეს 4:1 სძლია. მეოთხედფინალში აზერბაიჯანელ გამზატხან ისრაპილოვს 8 უპასუხო ქულა აართვა, ნახევარფინალში უნგრელ ფერენც ალმასის 9:0 მოუგო, ფინალში კი თურქ ოსმან კენან ილდირიმთან სულაც წუთსა და 21 წამში მოამთავრა საქმე (10:0).

საჭიდაოდ 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე გურამ ხეცურიანიც მაგრამ მედლებისთვის ბრძოლას ერთი ეტაპის დაძლევის შემდეგ, მერვედფინალიდან გამოეთიშა.

მსოფლიოს პირველობაზე საპრიზო სამეულები სულ რვა წონაში შეივსო და ოთხში ყველას ქართველმა ბერძენ-რომაელებმა აჯობეს. როგორც უკვე ვწერდით, მსოფლიოს ჩემპიონი 96 კილოგრამში მოჭიდავე გიორგი მელია გახდა. ნუგზარ წურწუმია (50 კგ) კი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

სულ ზაზა სილაგაძის გაწვრთნილმა ნაკრებმა 4 ოქროსა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, შარშანდელი ბრწყინვალე შედეგი გაიმეორა და გუნდური ჩემპიონობა არავის დაუთმო. ჩვენმა ნაკრებმა საერთო ჩათვლაში 51 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და უკან რუსეთისა (40) და ირანის (34) ნაკრებები მოიტოვა.

ერთიც: ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მომენტად ის გდება დასახელდა, რომელიც ზვიად პატარიძემ ფინალში თურქ ოსმან კენან ილდირიმს გაუკეთა და მორიგი ოქროს მედალი მოიპოვა.

# საქართველოს ნაკრებმა ევროსაკვალიფიკაციო ალბანეთის განადგურებით დაიწყო

**საქართველო-ალბანეთი 86:47**

(21:9, 24:10, 23:13, 18:15)



საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროსაკვალიფიკაციო ტურნირი 39-ქულიანი გამარჯვებით დაიწყო. ილიას ზუროსის გაწვრთნილი გუნდის მეტოქე ალბანეთი გახლდათ, რომელსაც ქართველებმა ისე მოუგეს, კარგი ვარჯიში გამოუვიდათ.

ალბანეთის ნაკრები ჯგუფის აღიარებული აუტსაიდერია და მასთან მატჩები ილიას ზუროსს თამაშის ტაქტიკის დასახვეწად, ნაკრების წევრებს კი შესათამაშებლად და გამოცდილების მისაღებად თუ გამოადგებათ. ეს უფრო ახალგაზრდებზე ითქმის, რომლებმაც მატჩში საკმარისად და საკმაოდ შედეგიანადაც ითამაშეს. ნაკრების გამოცდილმა მოთამაშეებმა კი საკუთარი შესაძლებლობები კიდევ ერთხელ გამოავლინეს – მაყურებელმა ერთი მატჩისთვის რეკორდულად ბევრი ცინცაძე-სანიკიძის საფირმო და ულამაზესი კომბინაცია იხილა: უკანახაზელის დაკიდებული პასი პერიმეტრიდან და სანიკიძის ფარში ერთი მოძრაობით ჩატენილი ბურთი.

სანიკიძემ საბოლოოდ 20 ქულა ჩააგდო და უფრო მეტი ბურთი ჩატენა, ვიდრე ჩააგდო. უმეტეს შემთხვევაში მისი ასისტენტი გიორგი ცინცაძე გახლდათ, რომელსაც ორმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდა – 9 ქულა და 9 პასი მიითვალა. დღევანდელი მატჩი ისეთი ყაიდის იყო, რომ გამარჯვებულის საკითხი გასარკვევი არ ყოფილა და ზუროსმაც სხვადასხვა კომბინაციის დამუშავებასთან ერთად საქმეში ახალგაზრდები იხილა. მით უფრო, რომ მოედანზე არ გასულა ამერიკელი ლეგიონერი მაიკლ დიქსონი, რომელსაც ნატკენი მუხლი აღარ აწუხებს, მაგრამ უსაფრთხოების მიზნით ბრძოლაში ჩართვა არ გარისკა.

სასტარტო ხუთეულში იყო და რიგიანად გაისარჯა თორნიკე შენგელია, რომელსაც ასევე ტრავმა აწუხებდა და რუსეთთან ამხანაგური მატჩის შემდეგ, შვედეთთან და პოლონეთთან ამხანაგურ მატჩებში არ უთამაშია. შენგელიამ შეხვედრა 12 ქულითა და 6 მოხსნით დაასრულა. 11 ქულა ახალგაზრდა ბექა ბურჯანაძის ანგარიშზე დაგროვდა, რომელმაც სამაგალითოდ იბრძოლა და გამარჯვებაში სოლიდური წილი დაიდო. შესანიშნავად გაისარჯა სათადარიგო ბესო ლეჟავა, რომელმაც მოედანზე 20 წუთზე ოდნავ მეტი გაატარა და 10 ქულა მოაგროვა.

9-9 ქულა ერთბაშად სამმა კალათბურთელმა – გიორგი შერმადინმა, ზემოთნახსენებმა ცინცაძემ და დუდა სანაძემ მიითვალეს. ნაკრების კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ შეტევაში თავი მაინცდამაინც ვერ გამოიჩინა და მხოლოდ 6 ქულას დასჯერდა, თუმცა 6 მახვილგონივრული პასი გაჩარხა, რასაც 8 მოხსნა, 2 ჩაჭრა და ამდენივე დაფარება მოაყოლა.

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრებს კარგი ვარჯიში გამოუვიდა სლოვაკეთთან სერიოზული დაპირისპირების წინ. ილიას ზუროსის გუნდი ავსტრიაში უკვე ჩაფრინდა, საიდანაც სლოვაკეთის დედაქალაქში ავტობუსით ჩავა და პირველი სოლიდური ბრძოლისთვის მოემზადება.

**ანტონის კოსტანტინიდესი, ალბანეთის მთავარი მწვრთნელი:**

– ამ ჯგუფში ჩვენთვის ყველაფერი რთულადაა. სამწლიანი უმოქმედობის შემდეგ პირველი ოფიციალური შეხვედრა სწორედ თბილისში ჩავატარეთ, ოთხი წამყვანი კალათბურთელი გვაკლია. მათ ნაკრებში თამაში იუარეს. ახალგაზრდებით, ნახევრად პროფესიონალებით ვცდილობთ ფონს გასვლას. მათ კი პირველივე მატჩში შენგელიას, სანიკიძის, ფაჩულიას წინააღმდეგ მოუწიათ მოედანზე გასვლა...

**ილიას ზუროსი, საქართველოს მთავარი მწვრთნელი:**

– დღევანდელ შეხვედრაში საშუალება მოგვეცა, დიქსონი დაგვეზოგა. იგი შემდეგი მატჩებისთვის უფრო გვჭირდება. ალბანეთი მოვისტუმრეთ. ახლა უკვე სლოვაკეთზე ვფიქრობთ. მეტოქე კარგად გვყავს შესწავლილი. ვიცით, მძიმე ბრძოლა გველის, თუმცა საამისოდ მზად ვართ.

ჩერნოგორიის საკალათბურთო ნაკრებმა, რომელიც 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს უმთავრეს მეტოქედ მიიჩნევა, პირველ შეხვედრაში ასევე იოლი გამარჯვება იზეიმა. ბოგდან ტანიევიჩის შეგირდები პოდგორიცაში სლოვაკეთს დაუხვდნენ და 97:65 გაანადგურეს.

# შავი ზღვის ბიჭები და მამულის გოგოები ევროთასებზე ითამაშებენ



საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი ხელბურთის კლუბი შავი ზღვის ბიჭები ახალ სეზონს 3-4 სექტემბერს იწყებს პორტუგალიაში – ბათუმელები ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე პორტუს ეთამაშებიან.

უკვე გარკვეულია ამ წყვილში გამარჯვებულის მეტოქე მეორე ეტაპზე – სლოვენიის კოპერი. სამი საკვალიფიკაციო რაუნდის შემდეგ 16 გუნდი ბრძოლას ჯგუფურ სტადიაზე გააგრძელებს, მეოთხედფინალიდან კი ბრძოლა ისევ პლეიოფის ფორმატით გაგრძელდება.

ბათუმის გუნდმა სეზონისწინა მზადება გაიარა, შარშანდელი შემადგენლობა შეინარჩუნა და 4 მოთამაშეც დაიმატა: გიორგი სამყურაშვილი, შოთა გრიშიკაშვილი, გიორგი კვერნაძე (ქუთაისი) და ირაკლი გოგოლაძე (სამტრედია).

ორივე მატჩი პორტუში, დრაგაო კაისას არენაზე გაიმართება 3 და 4 სექტემბერს. ამგვარი პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებულია ევროტურნირებზე – EHF თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის 15 წყვილიდან 6 სწორედ ამ ფორმატით თამაშობს.

ბათუმელთა მეტოქეს, პორტუს, ორჯერ უთამაშია ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, მათ შორის წინა სეზონშიც. პორტუ ქვეყნის 20-გზის ჩემპიონია, 2009-15 წლებში ზედიზედ მოიგო 7 ტიტული, თუმცა, ბოლო სეზონში პირველობა ბრაგას დაუთმო.

წლევანდელ ევროტურნირებზე საქართველოდან მეორე გუნდიც მონაწილეობს. ქალთა ჩელენჯ კაპის მეთექვსმეტედფინალში თბილისის მამული ჩეხეთის სოკოლ პორუბას შეხვდება. პირველი მატჩი 12 ან 13 ნოემბერს ოსტრავაში გაიმართება, საპასუხო – 19 ან 20 ნოემბერს თბილისში.

# ვლადიმირ ვაისი: „ფავორიტები არ ვართ, მაგრამ სიურპრიზების გაკეთება შეგვიძლია“

5 სექტემბერს საქართველოს ნაკრები 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩს გამართავს ავსტრიელებთან. ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა ჟურნალისტებთან მოახლოებულ მატჩსა და გუნდის შემადგენლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე ისაუბრა.



**ვლადიმერ ვაისი:**

– გუნდი შეიკრიბა. რა თქმა უნდა, რამდენიმე ფეხბურთელის არყოფნა, იგივე ლევან მჭედლიძისა და ჯაბა კანკავასი, დიდი დანაკლისია გუნდისთვის. მათ ტრავმებზე ვიცოდით... მოგვიანებით ჩამოდის თორნიკე ოქრიაშვილი. სამწუხაროდ, მარსელში სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა, რის გამოც წუხელ, როცა ვესაუბრე, ძალიან გულდაწყვეტილი იყო, თუმცა მე მისი ჯანმრთელობის მჯერა. ჩამოვა და აქაც ვნახავთ, რა და როგორაა.

დადებითი შედეგის მისაღწევად ავსტრიასთან მაქსიმუმს გავიღებთ. ადვილი მატჩი არ გველის. თუმცა, მოედანზე ჩვენც 11 ფეხბურთელით გავალთ და ავსტრიელებიც. ვეცდებით, რომ ბოლომდე ბრძოლით დადებით შედეგს მივაღწიოთ. ძალიან რთული და მნიშვნელოვანი შეხვედრა გველის.

ავსტრია ძლიერი გუნდია, რომელსაც ევროპის ჩემპიონატზე, უბრალოდ, არ გაუმართლა, განსაკუთრებით – პირველ შეხვედრაში. მეტოქეს ალაბასა და არნაუტოვიჩის სახით მსოფლიო დონის გუნდი ჰყავს, თუმცა ჩვენც გვყავს ძლიერი მოთამაშეები და, თუ ისინი ბოლომდე დაიხარჯებიან, შედეგი ჩვენთვის სასიკეთო იქნება.

სამწუხაროდ, ტრავმის გამო გიორგი აბურჯანია გამოგვაკლდა და მის ნაცვლად ეროვნულ გუნდში ლაშა პარუნაშვილს ვუხმეთ. ავსტრიასთან აბურჯანია ვერ ითამაშებს, მაგრამ ის გუნდში მაინც დავტოვე.

რა თქმა უნდა სასურველია მოედანზე დომინირება და შემტევი ფეხბურთის თამაში, თუმცა თუ დაცვაში შეცდომას დავუშვებთ, მისი გამოსწორება რთული იქნება. ავსტრიის დონის გუნდი შეცდომებს არ გვაპატიებს. ამიტომ, ყურადღებით უნდა ვითამაშოთ და გულშემატკივრების მხარდაჭერით ყველაფერი გამოგვივა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ და ვფიქრობ, რომ საქართველოს ნაკრებს შეუძლია ამ ჯგუფში სიურპრიზის გაკეთება.

# შედეგები

**31 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ესტონეთი-მალტა | 1:1 |
| ჩეხეთი-სომხეთი | 3:0 |
| ნორვეგია-ბელარუსი | 0:1 |
| დანია-ლიხტენშტეინი | 5:0 |
| ლიბანი-იორდანია | 1:1 |
| ალბანეთი-მაროკო | 0:0 |
| თურქეთი-რუსეთი | 0:0 |
| გერმანია-ფინეთი | 2:0 |
| ირლანდია-ომანი | 4:0 |

**კალათბურთი**

**ეჩ-2017. შესარჩევი ეტაპი**

| | |
|---|---|
| ბელგია-კვიპროსი | 65:46 |
| ისლანდია-შვეიცარია | 88:72 |
| გერმანია-დანია | 101:75 |
| ჰოლანდია-ავსტრია | 72:75 |
| რუსეთი-ბოსნია | 83:54 |
| ესტონეთი-ბელარუსი | 81:62 |
| პოლონეთი-პორტუგალია | 83:57 |
| უკრაინა-ბულგარეთი | 79:69 |
| სლოვენია-კოსოვო | 113:68 |
| საქართველო-ალბანეთი | 86:47 |
| ჩერნოგორია-სლოვაკეთი | 97:65 |
| უნგრეთი-დ.ბრიტანეთი | 96:77 |
| მაკედონია-ლუქსემბურგი | 92:83 |

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

**ქალები**

| | |
|---|---|
| როჯერსი-ბელისი | 6:2,2:6,2:6 |
| სევასტოვა-მუგურუზა | 7:5,6:4 |
| კიზი-დეი | 6:1,6:1 |

**კაცები**

| | |
|---|---|
| სოკი-ზვერევი | 6:1,6:1,6:2 |
| სტახოვსკი-ჩილიჩი | 1:6,2:6,3:6 |
| პუიე-ჩიუდინელი | 4:6,3:6,7:6,6:2,6:0 |
| დელბინოსი-ბაუტისტა | 7:5,2:6,3:6,2:6 |
| ნადალი-სეპი | 6:0,7:5,6:1 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# რობ კარდაშიანის საცოლე გაშიშვლდა



ტელევარსკვლავის კიმ კარდაშიანის ძმის რობის საცოლემ ჟურნალ ფეიფერ მეგეზინისთვის ეროტიკულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ფოტოსურათები ამერიკული გამოცემის ვებგვერდსა და ასევე ინსტაგრამში გოგონას აკაუნტში გამოქვეყნდა.

28 წლის ჰიპ-ჰოპ-მოდელი და მოცეკვავე ფოტოსურათებში ფეხმძიმე მდგომარეობაში მყოფია ასახული და ერთადერთი, რაც აცვია, თეთრი ხელთათმანებია, ვინაიდან რობერტსა და ბლეკ ჩაინას ქორწილი აქვთ დაგეგმილი.

მთელი რიგი ვებრესურსები აღნიშნავენ, რომ ამ ფოტოსესიამ „ინტერნეტი ააფეთქა“, ისევე, როგორც კიმ კარდაშიანის მსგავსმა სურათებმა 2014 წელს.

ჩაინა კარდაშიანების ოჯახის წარმომადგენელ ერთადერთ მამაკაცს 2015 წლიდან ხვდება, ხოლო 2016 წლის აპრილში წყვილმა ნიშნობისა და გოგონას ფეხმძიმედ ყოფნის თაობაზე გააკეთა განცხადება.

რობერტ კარდაშიანი 29 წლისაა. ის რეალიტი-შოუში „კარდაშიანების ოჯახი“ რამდენიმე ეპიზოდში გამოჩნდა. მისი ნახევარდა კაილი ჯენერი ბლეკ ჩაინას ყოფილ მეუღლეს, რეპშემსრულებელ ტაიგოს ხვდება.

# ბრიტანეთში დამნაშავე მისი უჩვეულო ტრუსებით იპოვეს




ბრიტანელმა პოლიციელებმა მძარცველის მიგნება მხოლოდ ერთადერთი ხელჩასაჭიდი ნივთმტკიცებულებით – მისი უჩვეული ტრუსებით მოახერხეს.

დარენ მეჩონი დილით ადრე ბრიტანელი ქალბატონის სახლში შეიპარა, მაგრამ სახლის პატრონმა ის აღმოაჩინა, რის შემდეგაც იძულებული გახდა, დანაშაულის ადგილიდან გაქცეულიყო. პოლიციელების მიერ დასმულ შეკითხვებზე, თუ როგორ გამოიყურებოდა დამნაშავე, ქალმა უპასუხა, რომ მხოლოდ მისი ქვედა საცვალი დაამახსოვრდა. მას ეცვა თეთრი ფერის ტრუსი ტორმანის მაღაზიიდან, რომელზეც ბურგერების, ჰოთდოგების, ფუნთუშებისა და კარტოფილი ფრის სურათები იყო დახატული.

მეჩონი იმავე დღეს მანქანის სახიფათოდ მართვის გამო დააკავეს და პოლიციის იმ განყოფილებაში გადაიყვანეს, რომელსაც განცხადებით მიმართა დაზარალებულმა ქალბატონმა. სამართალდამცავებმა, რომლებსაც უკვე ჰქონდათ ჩვენება ჩამორთმეული ქალისგან, შენიშნეს, რომ მეჩონის ტრუსები ქალის აღწერილს შეესაბამებოდა.

– ის აქტიური დამნაშავეა, რომელიც რამდენიმე წელს ციხეში გაატარებს და ყოველთვის გაიხსენებს, თუ როგორ ჩაიცვა მისი დამღუპველი ტრუსი იმ დღეს, – განაცხადა კრიმინალური პოლიციის კონსტებელმა დარენ ბაუენმა.

საბოლოოდ მეჩონს 34-თვიანი პატიმრობა მიესაჯა და ასევე 41 თვით ჩამოერთვა მანქანის მართვის მოწმობა.

# ირლანდიაში გასაბერი სუმოისტების გარბენი გაიმართა



ირლანდიაში ზედიზედ მეორედ ჩატარდა უჩვეულო საქველმოქმედო გარბენი. ასეულობით ადამიანმა, რომლებიც სუმოისტების გასაბერ კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილნი, ხუთკილომეტრიანი დისტანცია გაირბინეს.

ამ საქველმოქმედო აქციიდან შემოსული მთელი თანხა ონკოლოგიური ავადმყოფების დასახმარებლად იქნება გამოყენებული. გასულ წელს აღნიშნულ ღონისძიებაში 293-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

# ირლანდიელ ველოსიპედისტს ირემი დაეჯახა



ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში ტრიატლონში მიმდინარე შეჯიბრების დროს ტრასაზე გადარბენისას ირემი რბოლის მონაწილე შეინ ო'რაილის დაეჯახა და წააქცია. ამის შედეგად კი სპორტსმენი დროებით გამოეთიშა შეჯიბრებას.

რბოლა ფენიქს-პარკში იმართებოდა, სადაც დაახლოებით 500 ირემი ბინადრობს. რბოლის დროს ერთ-ერთი მათგანი შეეცადა, ნახტომით გადაეკვეთა ტრასა და სწორედ ამ დროს დაეჯახა ველოსიპედისტს.

სპორტსმენი მუზარადის წყალობით გადაურჩა სერიოზულ ტრავმას და მხოლოდ მხარი და თავი იტკინა. მან რბოლის გაგრძელება მოახერხა და ფინიშის ხაზი 2 საათსა და 25 წუთში გადაკვეთა. ამ შეჯახების შედეგად ირემი არ დაშავებულა.

შეჯახების მომენტი ფოტოგრაფმა ერიკ სკრეგსმა აღბეჭდა. მისი თქმით, მან შენიშნა ცხოველები და მოელოდა, რომ ისინი ტრასაზე გამოვიდოდნენ, მაგრამ სპორტსმენებზე გადახტომას თუ შეეცდებოდნენ, არ ეგონა.

# მეხის ჩამოვარდნამ ტეხასში 19 ძროხა იმსხვერპლა



ტეხასის ჰოლსვილში მეხის ჩამოვარდნის შედეგად 19 ძროხა დაიღუპა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტოები ავრცელებენ.

თვითმხილველთა თქმით, ყველაფერი წამში მოხდა. მეხი დაეცა ხეს, რომლის ქვეშაც ცხოველები იყვნენ შეფარებულები. მეხის ჩამოვარდნის შემდეგ ნახირის მესამედი უსულოდ დაეცა, თუმცა ზოგიერთმა ძროხამ მაინც მოახერხა წამოდგომა და იმ ადგილს გაეცალა.

ნახირის მფლობელმა ეშლი ანდერსონმა განაცხადა, რომ არც მას და არც მის მეუღლეს ადრე მსგავსი არაფერი უნახავთ. აღსანიშნავია, რომ დახოცილი ცხოველები დაამუშავეს და ხორცის წარმოებას გადასცეს.

# ფარულმა კამერამ ქალის თაღლითობა გამოავლინა



მერი ჰანტმა, ფლორიდელი მილიონერის სკოტ მიტჩელის ყოფილმა საცოლემ, მის წინააღმდეგ სასამართლოში შემხვედრი სარჩელი შეიტანა, რომელშიც მამაკაცს ოჯახური ძალადობა დასდო ბრალად.

ამის საპასუხოდ მიტჩელმა მის სახლში ფარული კამერით გადაღებული ვიდეო გამოაქვეყნა. ჩანაწერში ჩანს, თუ როგორ სცემს საკუთარ თავს 29 წლის ჰანტი სახესა და თავის არეში, სწორედ იმ ადგილებში, რომლებზეც მოგვიანებით ჩალურჯებები წარმოიქმნა. მილიონერის ყოფილმა საცოლემ მანამდე ეს სისხლჩაქცევები წარმოადგინა, როგორც მიტჩელის მხრიდან ძალადობის დამადასტურებელი საბუთები.

სასამართლო პროცესი ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო, მას შემდეგ, რაც მილიონერმა ყოფილ საცოლეს ორი მილიონი დოლარის ღირებულების ძვირფასეულობის მოპარვა დასდო ბრალად. მათი დაკარგვა მამაკაცმა ქალთან ურთიერთობის გაწყვეტიდან მცირე ხანში აღმოაჩინა. გარკვეული დროის შემდეგ მიტჩელს ჰანტის მამამ დაურეკა, რომელიც ძლიერ ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მოუყვა, რომ ქალიშვილმა მას „სამაჯურები, ბრილიანტები და სხვა ძვირფასეულობები“ გაუგზავნა.

ამის საპასუხოდ ჰანტმა განაცხადა, რომ საქმრო მას სცემდა. ამ განცხადების უარმყოფელი ვიდეოჩანაწერის შესწავლას ექსპერტები შეუდგნენ. მიტჩელის სასარჩელო მოთხოვნა ოთხ მილიონ დოლარს შეადგენს.

# 82 წლის ტეხასელი კოლეჯში შვილიშვილთან ერთად ისწავლის



ტეხასში 82 წლის რენე ნეირა და მისი 18 წლის შვილიშვილი მელანი სალაზარი სოციალური ქსელებისა და მასმედიის გმირებად იქცნენ მას შემდეგ, რაც კოლეჯში ერთად მოეწყვნენ.

მელანიმ ტვიტერში საკუთარ აკაუნტში დაწერა, რომ ის თავის პაპასთან ერთად ისწავლის.

– მე ვამაყობ ჩემი პაპით! – დაწერა გოგონამ.

ტვიტმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა, ათასობით მოწონება, გამოხმაურება და გაზიარება მიიღო.

რენესა და მელანის ისტორიამ მსოფლიო ონლაინ-მასმედია დააინტერესა. პალო-ალტოს კოლეჯში მათ პირველ დღეს რეპორტაჟები უამრავმა ონლაინგამოცემამ მიუძღვნა. გარდა ამისა, პაპასა და შვილიშვილს ტელეშოუს „დილა მშვიდობისა ამერიკას“ გმირებად გახდომა შესთავაზეს.

აღსანიშნავია, რომ სალაზარი კოლეჯში თავისუფალი ხელოვნების შესწავლით იქნება დაკავებული, ხოლო ნეირა – ეკონომიკის. კოლეჯის დასრულების შემდეგ კი მამაკაცი ტეხასის უნივერსიტეტში აპირებს სწავლის გაგრძელებას.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 2 სექტემბრისთვის



**ვერძი** – ნებისმიერი საქმის დასაწყებად კეთილისმყოფელი დღეა. ოჯახურ პრობლემებს იოლად გაართმევთ თავს. **კურო** – ქალაქგარეთ გასვლა, მოგზაურობა დღეს სახიფათოა. ყოველგვარი ფიზიკური დატვირთვა გამორიცხეთ. **ტყუპები** – მოულოდნელი ცვლილებების დღეა. ვითარებას ან სავსებით ფლობთ, ანდა მთლიანად სხვებზე ხართ დამოკიდებული. **კირჩხიბი** – მოდუნდით და სათანადოდ დაისვენეთ. საღამოს, შესაძლოა, ძველ მეგობრებს შეხვდეთ. **ლომი** – მთავარია, პრიორიტეტები სწორად განსაზღვროთ. სასარგებლო იქნება ჯგუფური საქმიანობა, მეგობრებთან ურთიერთობა. **ქალწული** – გელით რომანტიკული თავგადასავალი. საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. **სასწორი** – მოულოდნელი ცვლილებების დღეა. ვითარებას ან სავსებით ფლობთ, ანდა მთლიანად სხვებზე ხართ დამოკიდებული. **ღრიანკალი** – შემოქმედებითი აქტივობა იზრდება. ნებისმიერ საქმეში თქვენს ტალანტს სრულად წარმოაჩენთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დღის ნეგატიურ ტენდენციებს პარტნიორებთან და ბავშვებთან ურთიერთობა გამოასწორებს. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებას მოახერხებთ, ასევე გამოასწორებთ ადრე დაშვებულ შეცდომებს. მოსალოდნელია რომანტიკული თავგადასავალი. **მერწყული** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დღე ნეგატიური ტენდენციებით გამოირჩევა. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას პრობლემები შეგექმნებათ. **თევზები** – ნათესაური კავშირები მყარდება. ოჯახურ ურთიერთობაში პოზიტივი ჭარბობს. თამამად გაეშურეთ საყიდლებზე. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 2. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 3. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 4. მხარე ავსტრიაში; 5. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 7. მდინარე კახეთში; 11. ქარიშხალი წყნარ ოკეანეში; 13. ივნისის თვის ქართული სახელწოდება; 15. ძვირფასთვლებიანი ქალის სამკაული; 16. სამი და ოთხწლიანი ცხენების დოღი; 18. დაბა სიღნაღის რაიონში; 19. კოვბოების შეჯიბრება.

**თარაზულად**: 6. ცხოვრების, შრომის, დასვენების, კვების მტკიცედ დადგენილი წესი; 8. ქართული ჟურნალი; 9. აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი; 10. თეატრის ერთ-ერთი ჟანრი; 12. გერმანელი ფილოსოფოსი; 14. ებრაელთა სასულიერო პირი; 17. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 20. სწრაფმავალი, ერთადგილიანი, მოტორიანი სპორტული ნავი; 21. მოღრუბლული დილა; 22. გეოდეზიაში მიწაში ან შენობის კედელში დამაგრებული ნიშანი იმ წერტილის აღსანიშნავად, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან განსაზღვრულია ნიველირების გზით; 23. ქართველი მათემატიკოსი, მეტალურგი, ტანმოვარჯიშე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „აცტეკა“; 2. სოჭი; 3. ტახომეტრი; 4. ბასრა; 5. კაპრიზი; 8. პრერია; 9. კაკაფონია; 12. იშხანი; 14. ალმასი; 16. „იტამი“.

**თარაზულად:** 1. ანტრესოლი; 6. კალევალა; 7. ტყაპუჭი; 9. კულონი; 10. ხაში; 11. „არაბიკა“; 13. ჭვავი; 15. უშქარი; 17. დიორამა; 18. ვარძია; 19. „ოდისეა“; 20. ბიგამია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. აბზინდა; 2. ლეგატო; 3. ესმერალდა; 4. ჩითილი; 5. სარკაზმი; 7. ბანა; 11. ბეითალი; 13. კეტჩერი; 15. „ხიხვი“; 16. ტენგე; 18. ქეიფი; 19. ვაისი.

**თარაზულად:** 6. ბომბეი; 8. მენისკი; 9. თითბერი; 10. ნოთაობა; 12. კობზა; 14. შირაზი; 17. დეტექტივი; 20. აჯამეთი; 21. ცვაიგი; 22. „ფრესკო“. 23. ბეისბოლი.

# სუხიშვილებმა ყირიმში კონცერტზე უარი თქვეს




ანსამბლმა სუხიშვილებმა ყირიმში კონცერტის გამართვაზე უარი განაცხადა. ანსამბლის ხელმძღვანელობამ ოფიციალური შეთავაზება მიიღო, რაზეც ოფიციალური უარი განაცხადა:

– დაგვიკავშირდნენ ყირიმიდან. კონცერტები უნდათ სევასტოპოლსა და სიმფეროპოლში. 2007 წლიდან 2014 წლამდე ყოველ წელს ვმართავდით ყირიმში კონცერტებს. ამჯერად შემოთავაზებაზე მარტივად ვუპასუხეთ: „სუხიშვილები" უარს ვამბობთ რუსეთში და მით უფრო რუსეთის მიერ ანექსირებულ რეგიონებში გასტროლებზე! სლავა უკრაინე! გეროიამ სლავა!

ყირიმის შეთავაზებაზე უარის თქმის პარალელურად, სუხიშვილები საქართველოში საკონცერტო ტურნეს იწყებენ.

4 სექტემბრიდან მათი პროგრამა წარმოდგენილი იქნება ქუთაისში, ფოთში, ოზურგეთში, ზუგდიდში, თელავში, რუსთავსა და გორში.

# ქართველი ტენორი საუკეთესოთა შორის დასახელდა



მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე პრესტიჟულმა და ცნობილმა გავლენიანმა ჟურნალმა თანამედროვეობის საუკეთესო მოქმედი ტენორები დაასახელა. სხვადასხვა ქვეყნის 12 საუკეთესო საოპერო მომღერალს შორის ერთ-ერთი ქართველი შალვა მუქერია დასახელდა.

ტენორი შალვა მუქერია საუკეთესოთა ჩამონათვალში ისეთი ცნობილი ტენორების გვერდით მოხვდა, როგორებიც არიან იონას კაუფმანი, ვლადიმირ გალუზინი, მაქსიმ აქსენოვი, ალექსანდრ ანტონენკო, პავოლ ბრესლიკი, პიოტრ ბეჩალა, დმიტრი კორჩაკი, რობერტო საკკა, სტეფან ფინკე, პეტერ ზაიფერტი და კლაუს ფლორიან ფოგტი.

# საბალეტო დასი „წუნა და წრუწუნას" იცეკვებს



თბილისის საბალეტო დასი შვებულებიდან დაბრუნდა და ახალი სეზონისათვის მზადება დაიწყო.

2016 წელს თეატრი 165-ე სეზონს გახსნის. სეზონი გაიხსნება 24 სექტემბერს „ჟიზელის" პრემიერით. 29 და 30 ოქტომბერს მაყურებელი „გორდას" იხილავს.

25 ნოემბერს საბალეტო დასი ახალი საბავშვო ბალეტის „წუნა და წრუწუნას" პრემიერას გამართავს, 3 დეკემბერს კი მიხაილ ფოკინის საღამოს უმასპინძლებს.

წლის ბოლოს მოცეკვავეები კიდევ ერთ პრემიერას შესთავაზებენ მაყურებელს. ამჯერად „დონ კიხოტის" განახლებული რედაქცია იქნება ნაჩვენები.

პრემიერა 29 და 30 დეკემბერს გაიმართება.

# ლელა წურწუმია ისრაელში წავიდა



მომღერალი ლელა წურწუმია ბოლო პერიოდში თავის ერთგულ მსმენელს საქართველოში კონცერტებით აღარ ანებივრებს და მთლიანად უცხოეთში დაგეგმილი გასტროლებით არის დაკავებული.

ამჯერად ლელას ისრაელში მოუხდა წასვლა, სადაც ნინო ჩხეიძესთან ერთად კონცერტებში მიიღებს მონაწილეობას. ლელასა და ნინოს ერთობლივი ფოტოები ნინო ჩხეიძის ფეისბუქში გავრცელდა, სადაც ლელა წურწუმიას იმიჯი აქვს შეცვლილი და მოკლე თმაში პოზიორობს.

ისრაელში მომღერლების ვიზიტს ლელა წურწუმიას მეუღლე და პროდიუსერი კახა მამულაშვილი, იგივე მამულიჩა ეხმიანება:

– შალომ, ლელა, გიხდება ისრაელი...

# ბათუმში სამეფო ნაციონალური ბალეტისა და მილანის სახელმწიფო ბალეტის გალაკონცერტი გაიმართება

2 სექტემბერს ბათუმის კორტებზე მსოფლიო პრემიერის ფარგლებში სამეფო ნაციონალური ბალეტისა და მილანის სახელმწიფო ბალეტის გალაკონცერტი გაიმართება.

ერთობლივ საღამოზე ქართველი და იტალიელი მოცეკვავეები სხვადასხვა ქვეყნის ნაციონალურ ცეკვებს შეასრულებენ.

ქორეოგრაფიული წარმოდგენა უკვე შეაფასეს გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიასა და საფრანგეთში. ამჯერად პროექტს ქართველი მაყურებელი იხილავს. მილანის საბალეტო თეატრის მოცეკვავეები ნაწყვეტებს შეასრულებენ დადგმებიდან „ანა კარენინა" და „რომეო და ჯულიეტა".




ორგანიზატორების თქმით, გალაკონცერტი ვიზუალურადაც დასამახსოვრებელი იქნება, რადგან ექსკლუზიურად მოცეკვავეებისთვის კოსტიუმები ვერსაჩესა და ჯორჯო არმანის მოდის სახლებმა შეკერეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ამერიკაში ყველაზე ხნიერი კაკადუ მოკვდა



ამერიკის ილინოისის შტატის ჩიკაგოს ბრუკფილდსის ზოოპარკში ტყვეობაში მყოფ თუთიყუშებს შორის ყველაზე ხანდაზმული კაკადუ მოკვდა. ჩიტი 89 წლის იყო.

ვეტერინარები იძულებულნი გახდნენ, თუთიყუში, სახელად კუკი, ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების გამო დაეძინებინათ.

აღსანიშნავია, რომ ვარდისფერი კაკადუ ჩიკაგოს ზოოპარკის ბინადარი 1934 წლიდან გახდა. ის სიდნეის ზოობალტარონგადან ერთი წლის ასაკში ჩამოიყვანეს.

2014 წელს კუკი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც ტყვეობაში მყოფთა შორის მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული თუთიყუში (ასეთ პირობებში კაკადუს სიცოცხლის ხანგრძლივობა 60-80 წელს შეადგენს).

კუკი კაკადუს იშვიათი სახეობის – ინკის წარმომადგენელი იყო. ველურ ბუნებაში ამ ფრინველს მხოლოდ ავსტრალიაში შეხვდებით.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## მკურნალი მცენარე

# სიმინდის ულვაშის სიკეთე

სამკურნალოდ გამოიყენება სიმინდის არა მარტო ულვაში, არამედ ფოთლები და მარცვლები, რომლისგანაც ამზადებენ ზეთს.

**სიმინდის ულვაში** შეიცავს 25%-მდე ცხიმს, 3%-მდე საპონინებს, K3 ვიტამინს, 3%-მდე გუმფისისმაგვარ ნივთიერებას, მარცვალი შეიცავს 60%-მდე სახამებელს, C და B ჯგუფის (B1, B2, B6, ნიკოტინის მჟავას) ვიტამინებს. აქვს ანთებსაწინააღმდეგო, ნაღველმდენი, შარდმდენი და სისხლის აღმდგენი თვისებები;

მისი ნაყენის ხანგრძლივად მიღება ხელს უწყობს თირკმლებსა და შარდსადინარებში ქვების დაშლა-გამოდევნას, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, შველის გულის დაავადებების მიზეზით გამოწვეულ შეშუპებას, გამოიყენება ქოლეცისტიტის, ქოლანგიტის, ენტეროკოლიტის, ჰეპატიტის სამკურნალოდ, ეფექტიანია ჰემორაგიული დიათეზის, კუჭისა და საშვილოსნოდან სისხლისდენის დროს, როგორც სისხლის აღმდგენი საშუალება.

**კარგ შედეგს იძლევა დისკინეზიის ჰიპერკინეტიკური ფორმის მკურნალობისას:** დღეში 3-ჯერ 1 ჩ/კ ხოლოსასის მიღებიდან 2 საათის შემდეგ მიიღეთ 2 ს/კ სიმინდის ულვაშის ნაყენი (1 ს/კ სიმინდის ულვაში: 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალზე). სიმინდის ზეთს აქვს ნაღველმდენი თვისებები. ის შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს (ფოსფატიდებს, სიტოსტერინს), რომლებიც აუმჯობესებენ ლიპიდურ ცვლას. დღე-ღამეში 75 გ სიმინდის ზეთის მიღება (სალათასთან, ფაფებთან) ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს – შეიძლება გამოყენებული იქნეს ათეროსკლეროზის დროს და ნაღველკენჭოვანი დაავადებისას ქვების წარმოქმნის პროცესის შესაჩერებლად.

- 1 ს/კ სიმინდის ულვაშს დაასხით 300 მლ მდუღარე, გააჩერეთ 1 საათი, გაწურეთ და მიიღეთ 2 ს/კ 3-4 საათში ერთხელ, როგორც შარდმდენი საშუალება.
- 1 ს/კ სიმინდის ზეთი მიიღეთ 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე 40 წუთით ადრე.
- მზა სიმინდის ულვაშის 1 ჩ/კ ექსტრაქტი მიიღეთ 2-3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

სიმინდის ულვაში უნდა მოსცილდეს ტაროს მარცვლების რძისებრ სიმწიფის ხანაში, სექტემბერ-ოქტომბერში ნედლეული უნდა გაიშალოს თხელ ფენად და გაშრეს ჩრდილში.

მისი შენახვა შეიძლება მშრალ ადგილას მხოლოდ 5-6 თვემდე, შემდეგ უვარგისი ხდება. სიმინდის ულვაში შეიცავს ცხიმს, C, K ვიტამინებს, საპონინებს და სხვა სასარგებლო ნივთიერებებს. გამოიყენება როგორც შარდმდენი, შარდკენჭოვანი დაავადების, ნაღვლის ბუშტის სადინარებისა და ღვიძლის დაავადების დროს. აქვს სისხლდენის შეჩერების უნარი.

- ნაყენის მოსამზადებლად წვრილად დაჭრილ 1 ჩაის კოვზ სიმინდის ულვაშს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, წამოადუღეთ, გაწურეთ და სვით როგორც ჩაი დღეში 4-6-ჯერ თითო სადილის კოვზი. შარდის გამოყოფა მკვეთრად გაძლიერდება.

❖ ❖ ❖

**სიმინდის ფოჩი** შეიცავს K1, C და B3 ვიტამინებს, ეთერზეთებს, ინოზიტს, ნახშირწყლებს, პანტოტენის მჟავას, სიტოსტეროლს, სტერინებს, სტიგმასტეროლს, ტანინებს, ტრიტერპენულ საპონინებს, ფისოვან ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, ცხიმოვან ზეთებს. სიმინდის ფოჩის ნახარში გამოიყენება ცისტიტების, ალბუმინურიისა და გულის ქრონიკული სისუსტის დროს.



აქვს ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება ქრონიკული ცისტიტის, თირკმელში კენჭების დროს ტკივილისას.

**სიმინდის ფოჩის ნახარშს შემდეგი წესით ამზადებენ:**

- 10გ სიმინდის ფოჩს დაასხით 1 ჩ/ჭ ცივი წყალი, თავდახურული 30 წუთი ადუღეთ ნელ ცეცხლზე, გააცივეთ და მიიღეთ 1-3 ს/კ ყოველ სამ საათში ერთხელ.
- 2 ს/კ ფოჩს დაასხით 500 მლ წყალი, ადუღეთ 3 წუთი, გააჩერეთ 2 საათი, გაწურეთ და 50 გ სითხე მიიღეთ ყოველი ჭამის წინ.

❖ ❖ ❖

ხალხურ მედიცინაში **სიმინდის მარცვალს** იყენებენ ეგზემისა და კანზე გამონაყარის სამკურნალოდ: გახურებულ ტაფაზე ყრიან შუაზე გაჭრილ მარცვლებს და ჭყლეტენ რკინის საგნით, გამოყოფილ მუქყავისფერ სითხეს უსვამენ დაზიანებულ კანზე.

სიმინდის მარცვლებიდან მიღებულ ზეთს იყენებენ ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის, როგორც სისხლში ქოლესტერინის რაოდენობის შემამცირებელ საშუალებას. ამ მიზნით საჭმელი უნდა დაამზადოთ ზეთზე, განსაკუთრებით სალათები.

## პროგრამა

### პარასკევი 2 სექტემბერი

**07.00** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. რა ფასი აქვს ამერიკას" **08.00** ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** ზღაპარი. "რუმპელშტილცჰენი" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.10** ტ/სერ. "**წინ წარმატებისკენ**" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **12.30** მხ/ფ "**პირველი გვერდი**" (ჯ.ლემონი) **14.00** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **15.00** დოკ/სერ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. შეგვიძლია თუ არა მარადიულად ცხოვრება" **20.00** მოამბემოამბის სტუმარი **21.30** თოქ-შოუ "რეალური სივრცე" **23.40** ქართ. ტ/ფ "მედიტაციები" 5 სერ. **00.30** მხ/ფ "**მას სიკვდილი უხდება**" (გ.ჰოუნი) **02.10** დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. შეგვიძლია თუ არა მარადიულად ცხოვრება" **03.10** მხ/ფ "**პირველი გვერდი**"

**08.00** დ/ფ "სკეიტბორდის ისტორია" **09.00** დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მხ/ფ "**მერვე გვერდი**" **12.00** ტ/სერ "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "მონსანტოს თვალით დანახული სამყარო" **18.00 21.00** "არჩევნები 2016" **20.00** "მოამბე" **22.00, 01.00** ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, რუსულ ენებზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**05.00** სერ. "**დახურული სკოლა**" **06.00** სერ. "**ფიცი**" **07.00, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **08.00** ქ.მხ/ფ "**კუკარაჩა**" **10.00** სერ. "**ბამბის ველი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.05** ქრონიკა **11.20** სერ. "**ჟუმონგი**" **12.30** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ღია ეთერი - პოლიტიკური თოქ შოუ **00.00** სერ. "**სპარტაკი**"-4" 8 სერ. **01.00** მხ/ფ "**დროის ხაფანგი**" **03.20** მხ/ფ "**მოკალი და დამარხე**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**"(გ/ჩ) **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.15** იღბლიანი ბორბალი **00.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **01.00** ქ.მხ/ფ "**ექსპრეს ინფორმაცია**" **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ

**8.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 1.15** სერ. "**გრეის ანატომია**" **12.00** 59 წამი **13.30, 2.15** სერ. "**ძვლები**" **14.30** ცოლები და ქმრები **15.00** მხ/ფ "**ვარსკვლავური ომები**" ნაწ. II **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები 2012 დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** მხ/ფ "**სახის გარეშე**" **0.05** სერ. "**ამერიკული საშინელებათა ისტორია**" **3.00** ჯიდიპედია

**06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "იაკობ გოგებაშვილი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე-ფუტკრის ჭეო **11.00** მოკ. მხ/ფ "**ბეღურების გადაფრენა**" **12.10** პორტრეტები "გოგი ცაბაძე" **13.15** ერთხელ ბავშვობაში-მარიკა კვალიაშვილი **13.40** საყმაწვილო ენციკლოპედია **14.30** ქვიშანიდარჩებიან **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** ღვთის სახლი "ბეთლემიდან სანაგირემდე" **15.40** კონცერტი **17.15** მიწათმოქმედი "მარხვა და შაქარი" **17.20** ჩვენი ფონდი "ხალხური პოეზიის საღამოების შესახებ" **17.40** ამბიონი "ზემო ბეთლემის ტაძარი" **18.10** ზღვარზე (ნარკომანია)-პატრიარქი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ზოგი ჭირი მარგებელია**" **20.40** ძილი ნებისა "ხელმარჯვე ოსტატი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები "უდაბნოს შვილები" **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ლაკვის ხეობა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი-სულემენაშვილები **23.35** თბილისის ტაძრები "ანჩისხატის ტაძარი" **00.35** მგზავრები წუთისოფლისა "სოფელი. ჭივჭავი, თეთრიწყარო, წალკა" **01.00** მხ/ფ "**ნიურნბერგი**" III-IV ს.

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 1.30** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ზოგადი თერაპია**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** " კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.35** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 2.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 3.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**მოლოდინის სია**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.00** სერ. "**ჩემი ერთადერთი ცოდვა**" **21.50** "ღამის კონტაქტი" **22.45** სერ. "**ცხოვრება,რომელიც არ ყოფილა**" **23.30** მხ/ფ "**მარტოსული**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

2 სექტემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.3062

ევრო — 2.5698

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0303

100 რუსული რუბლი — 3.5359

## ამინდის პროგნოზი 2 სექტემბრისთვის




## 3 სექტემბრიდან




ვახუშტი კოტეტიშვილი

# აკლდამა ჩემთა ოცნებათა

ქალბატონი ნანა კოტეტიშვილის მიერ შედგენილ კრებულში შესულია პოეტის როგორც ცნობილი, ასევე უცნობი ლექსები, რომლებიც მანამდე არსად ყოფილა გამოქვეყნებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## 2 სექტემბრიდან

ჯონ სტაინბეკი

# რუსული დღიური




სადილად ოთხასი გრამი არაყი, დიდი თასი სავსე შავი ხიზილალით, კომბოსტოს წვნიანი, სტეიკი, შემწვარი კარტოფილი, ყველი და ორი ბოთლი ღვინო მოგვართვეს. ას ათ დოლარამდე დაგვიჯდა ხუთ კაცს. იმ დროს საელჩოში დოლარად თორმეტ რუბლს ყიდულობდი. მომსახურებისთვის ორსაათ-ნახევარი დასჭირდათ, რამაც ოდნავ შეგვაშფოთა. მოგვიანებით აღმოვაჩინეთ, რომ შეკვეთის ასე გვიან მოტანა რუსული რესტორნებისთვის დამახასიათებელი ყოფილა და ისიც გავიგეთ, რა არის გაჭიანურების მიზეზი.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 6 სექტემბრიდან

ანდრეი ბელი

# პეტერბურგი




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

# ჯაბა კანკავა რეიმსში დარჩა



ჯაბა კანკავა რეიმსში დარჩა, რადგან მას სასურველი გუნდისგან წინადადება არ მიუღია. ამიტომ მომავალ სეზონს ჯაბა საფრანგეთის მეორე დივიზიონში გაატარებს. რეიმსის პრეზიდენტმა ჟან პიერ კაილომ განაცხადა, რომ კანკავა მის გუნდში რჩება და ისინი ერთად იბრძოლებენ უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად.

კანკავას ზაფხულში რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა, განიხილებოდა ესპანურ მალაგაში ტრანსფერიც, მაგრამ საბოლოოდ ჯაბას საფრანგეთში მოუხდა დარჩენა. ამჟამად მას მცირე ტრავმა აწუხებს და მოედანს მალე დაუბრუნდება.

კანკავა რეიმსში შარშან გადავიდა და პირველივე სეზონში 32 მატჩი ჩაატარა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# იუმორი



ორი ნაცნობი ქალი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– რა გაუკეთე შენ თმებს, ისე მშვენივრად რომ გამოიყურება, თითქოს პარიკი იყოს?

– სწორედ, რომ პარიკია.

– მართლა?! ვერასოდეს ვიფიქრებდი!

•••

ქმარი კომპიუტერთან ზის, ცოლი თავს დასტრიალებს, სთხოვს, რომ კომპიუტერთან დასვას. გაღიზიანებული ქმარი პასუხობს:

– შეგიძლია სხვა რაიმე გასართობი მოძებნო!

– როგორ შემიძლია სხვა გასართობი გამოვნახო, როდესაც ჩემი ორი მთავარი გასართობი, კომპიუტერი და ქმარი ერთმანეთთან ერთობიან?!

•••

მამამ შვილს მოლაპარაკე თოჯინა უყიდა, რომელიც სხვადასხვა სიტყვებს იძახის, მაგალითად: „მეთამაშე“, „მაჭამე“, „მიმღერე“ და ა.შ. მცირე ხანში მამას სამზარეულოდან შვილის ყვირილი ესმის:

– როდის ჩაცეცხლავ და დამასვენებ!

•••

ქორწილის პირველი ღამის შემდეგ, დილით ქმარი მეუღლეს ყავას მოუდუღებს და საწოლში მიართმევს. ცოლი ყავას მოსვამს და ჩაილაპარაკებს:

– ყავაც სუსტი ჰქონია.

•••

ახლად აშენებულ სახლში ხმის იზოლაციას ამოწმებენ. ერთი კედლის მეორე მხარეს მყოფს ეძახის:

– სანდრო, გესმის ჩემი?

– რა გაყვირებს, მესმის კი არა, გხედავ კიდეც.

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, ყველაზე ნაკლებად, რომელი ქალები ღალატობენ ქმრებს? ქერათმიანები, შავთმიანები, წაბლისფერთმიანები თუ წითურები?

– შვილო, შედარებითი გარანტიის მომცემი მხოლოდ თმაშევერცხლილები არიან.

•••

ქორწილის წინ დედა ქალიშვილს არიგებს:

– ყოველთვის ყველაფერში დაეთანხმე, შეეცადე მნიშვნელოვან საქმეებზე მსჯელობა სადილობის წინ არ დაიწყო და თქვენი უთანხმოების, კამათის შესახებ არასოდეს მიამბო!

– რატომ?

– იმიტომ, რომ შენ აპატიებ, მე კი ვერა!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




## 1 სექტემბრიდან

# მე და ჩემი წილი მამა

მანანა ამირეჯიბი

ეს წიგნი-აღსარებაა... ავტორი შემაცბუნებელი გულახდილობით მოგვითხრობს თავის თავზე, თავისიანებზე, ნაცნობ-მეგობრებზე ანუ, საბოლოო ჯამში – ცხოვრებაზე.

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**

# დავიდ ლუისი ჩელსიში დაბრუნდა



ბრაზილიელი ცენტრალური მცველი დავიდ ლუისი თავის ყოფილ გუნდ ჩელსიში დაბრუნდა. ლუისი უკვე ლონდონშია და სულ მალე ისევ ჩელსის მაისურს მოირგებს.

დავიდ ლუისის ტრანსფერი ჩელსის 34 მილიონი ევრო დაუჯდა.

ბრაზილიელი ფეხბურთელი ჩელსიდან 2014 წელს წავიდა და კარიერა პსჟ-ში გააგრძელა. საფრანგეთში ლუისმა ორი სეზონი გაატარა და ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, თუმცა, როგორც ჩანს, გული მას ინგლისისკენ მიუწევდა.

დავიდ ლუისმა განაცხადა, რომ ბედნიერია ამ ტრანსფერით და ერთი სული აქვს, როდის გამოვა ჩელსის მაისურით მოედანზე.

# დიეგო ლოპესი ესპანეთში დაბრუნდა



ცნობილი ესპანელი მეკარე დიეგო ლოპესი სამშობლოს დაუბრუნდა. ლოპესი ბარსელონის ესპანიოლის ღირსებას დაიცავს, რომელთანაც მან რამდენიმეწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

დიეგო ლოპესი 2014 წელს მილანში გადავიდა და თავიდან ძირითადი მეკარეც იყო, მაგრამ ბოლო სეზონში ის ჯან ლუიჯი დონარუმამ შეცვალა, ამიტომ ლოპესმა მილანის დატოვება გადაწყვიტა.

წარსულში დიეგო ლოპესი მადრიდის რეალის მეკარეც იყო, იქამდე კი სევილიისა და ვილიარეალის ღირსებას იცავდა. ამჟამად ის 34 წლის არის და კარიერის მიწურულს სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა.

# თორნიკე ოქრიაშვილმა გენკთან კონტრაქტი გაწყვიტა



თორნიკე ოქრიაშვილმა ბელგიურ გენკთან კონტრაქტი გაწყვიტა და ამჟამად ის თავისუფალი აგენტია. ეს გადაწყვეტილება გუნდმა და ფეხბურთელმა ერთობლივად მიიღეს.

ყველასთვის ცნობილია, რომ ოქრიაშვილი მარსელის ოლიმპიკში უნდა გადასულიყო, მაგრამ ეს ტრანსფერი ბოლო მომენტში ჩაიშალა, რადგან თორნიკემ სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა. ამჟამად ქართველი ფეხბურთელი გუნდის გარეშეა და ჯერჯერობით მისი მომავალი გაურკვეველია.

ოქრიაშვილი გენკში 2014 წელს გადავიდა და 35 შეხვედრაში მხოლოდ 2 გოლის გატანა შეძლო.

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. მემკვიდრეობითობის მატარებელი მიკროორგანიზმი; 3. სიბერით გამოწვეული დაავადებების შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. მრავალშრიანი ფანერა; 5. ოქრომჭედლის ყალიბი; 8. შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 9. სამეფო საბჭოს სხდომა ძველად საქართველოში; 12. ლირიკული, სატრფიალო ხასიათის აზერბაიჯანული სიმღერა; 14. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 16. ბერძნული ანბანის ბოლო ასო.

**თარაზულად**: 1. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 6. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 9. ქართველი თეატრალური რეჟისორი ქალი; 10. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 11. ვაჭრობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 13. მდინარე რომში; 15. სათამაშო სახლი, სამორინე; 17. ამერიკული ფარმაცევტული ფირმა; 18. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 19. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 20. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

